

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელგუჯა ხვედელიძე

ეკონომიკური სანქციები როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი,
რუსეთ-საქართველოსა და ინდოეთ-ნეპალის ქეისების მიხედვით

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე, ასოცირებული პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

თბილისი

2017 წ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Elguja Khvedelidze

**Economic sanctions as a tool of politics, according to Russian-Georgian
and India-Nepal cases**

Diplomacy and International Politics

For getting a Master's Degree in Diplomacy and International Politics

Mentor: Tornike Turmanidze, Associate Professor,

Doctor of International relations,

Faculty of Social and Political Sciences,

Department of International relations

Tbilisi

2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი - “ეკონომიკური სანქციები როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, რუსეთ-საქართველოსა და ინდოეთ-ნეპალის ქეისების მიხედვით“ შეეხება ეკონომიკური სანქციების თემას, კერძოდ ეკონომიკური ძალაუფლების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. გარდა იმისა, რომ მიმოხილული იქნება სანქციების ეფექტურობა/არაეფექტურობასთან დაკავშირებული ლიტერატურა, ძირითადი ყურადღება დაეთმობა რუსეთ-საქართველოსა და ინდოეთ-ნეპალის ქეისების შედარებით ანალიზს. ამ კონკრეტული ქეისების არჩევა განპირობებულია კვლევის პროცესში დასატესტი თეორიის ბუნებით, კერძოდ ნაშრომის მიზანია დანიელ დრეზნერის ე.წ. კონფლიქტის მოლოდინის მოდელის დატესტვა, რომლის მიხედვითაც რაც უფრო მაღალია კონფლიქტის მოლოდინი დამწესებელსა და სამიზნეს შორის მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა სანქციები შედეგიანად დასრულდეს, მით უფრო, რომ სამიზნემ სრულად დაუთმოს მაიმულებელს. შესაბამისად, რადგან ზემოთხსენებულ ქეისებში ორივეგან მაღალი კონფლიქტის მოლოდინის მიუხედავად აბსოლიტურად ურთიერთსაპირისპირო შედეგები დადგა (რუსეთ-საქართველოს შემთხვევაში, სანქციებმა არ იმუშავა, ხოლო ინდოეთ ნეპალის შემთხვევაში სრულად იმუშავა) ნაშრომის მიზანი და საკვლევ კითხვაა: გაარკვიოს თუ რატომ იმუშავა სანქციებმა ერთ შემთხვევაში და არა მეორეში, როცა დათმობაზე წასვლის პოლიტიკური ფასი ორივე სამიზნისთვის მაღალი იყო და უკავშირდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საკითხებს? წარმოდგენილია ჰიპოთეზა, რომ ნეპალის სპეციფიკურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსხვავებით საქართველოსგან, შეუძლებელი გახადა მისთვის ინდოეთის სანქციებით მიყენებული დარტყმის გაძლება. საქართველოსა და ნეპალის მიერ, მათი გეოგრაფიული მდებარეობის მხედველობაში მიღებით, სანქციების საპასუხო მოქმედებების შესწავლის შედეგად ნაჩვენებია ის ფაქტორები, რამაც განაპირობა განსხვავებული შედეგის დადგომა.

Abstract

The present paper – „Economic sanctions as a tool of politics, according to Russian-Georgian and Indian-Nepalese cases” is about the issue of economic sanctions and in particular, using economic power for political purposes. Besides reviewing the literature concerning the effectiveness/ineffectiveness of sanctions, the main focus will be on the comparative analysis of Russian-Georgian and Indian-Nepalese cases. The choice of these specific cases is due to the nature of the theory that should be tested in the research. Specifically, the purpose of the given thesis is to test Daniel W. Drezner’s so called conflict expectation model which asserts that the higher the expectation of the conflict between the sender and the target, the more likely the sanctions are to end ineffectively and even the less the chance that target concedes completely. Consequently, since both of the above mentioned cases ended up with absolutely contradictory results (In the Russian-Georgian case sanctions did not work, though in Indian-Nepalese case it worked completely) while there was high expectation of conflict between sender and the target in each case the research question is as follows: why did the sanctions work in one case and not in the other when the political price of compliance was very high as it was related to the issues of state security, independence and sovereignty for both targets? A hypothesis is developed which asserts that Nepal’s specific geographical location, unlike Georgia, made it impossible for Nepal to withstand the impact of Indian sanctions. By analyzing Georgia’s and Nepal’s responsive efforts towards imposed sanctions, bearing in mind their pure geographical location, is shown those factors which led to a different results in terms of sanctions effectiveness.

სარჩევი

1. შესავალი	6
2. ლიტერატურული მიმოხილვა	9
3. მეთოდოლოგია	19
4. დანიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი	21
5. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ (ისტორიული რაკურსი)	24
5.1 სავაჭრო სანქციები საქართველოს მიმართ (2005-2006 წლები)	29
5.2 ენერგეტიკული სანქციები (2006 წელი)	32
5.3 სანქციები რუსეთში მცხოვრები ქართველი მიგრანტების წინააღმდეგ	37
6. ინდოეთი ნეპალის წინააღმდეგ (ისტორიული რაკურსი)	40
6.1 ნეპალის ეკონომიკური ბლოკადა (1989-1990 წლები)	44
7. ქეისების შეფასება თეორიულ ჭრილში (შედარებითი ანალიზი)	49
8. დასკვნა	54
ტერმინთა ოპერაციონალიზაცია	56
დანართი 1	58
დანართი 2	59
დანართი 3	60
დანართი 4	61
დანართი 5	62
დანართი 6	63
დანართი 7	64
დანართი 8	64
დანართი 9	65
დანართი 10	66
გამოყენებული ლიტერატურა	67

1. შესავალი

ეკონომიკური სანქციები წარმოადგენს დიპლომატიური იძულების იარაღს, რომელსაც იყენებს ერთი კონკრეტული აქტორი მეორის წინააღმდეგ რათა შეცვალოს მისი პოლიტიკური ქცევა საკუთარი ინტერესების შესაბამისად (აიძულოს მოიქცეს ისე, როგორც ეს უკანასკნელი სხვა შემთხვევაში არ მოიქცეოდა (Baldwin, 1985, 9)). ზოგადად, ეკონომიკური სანქციების შესახებ ლიტერატურა პესიმისტურ სურათს ხატავს სანქციების - როგორც იძულების ფორმის ეფექტურობასთან დაკავშირებით. თუმცა მიუხედავად ამისა სახელმწიფოები, მაინც ხშირად მიმართავენ ეკონომიკურ სანქციებს როდესაც გარკვეული საგარეო პოლიტიკური მიზნის მიღწევა სურთ.

ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძირითადად გახშირდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და განსაკუთრებით კი ცივი ომის დასრულების შემდეგ, რაც ლოგიკურად აიხსნება იმით, რომ ომის დამანგრეველი ეფექტის გამოცდილებიდან გამომდინარე ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად აარიდონ თავი სამხედრო ძალის - როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებას და უფრო ხშირად მიმართავენ ეკონომიკურ ძალას. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია ამგვარი ტენდენციის მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორია, რადგან დღეს არსებულმა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ვითარებამ გარდა იმისა, რომ ომი ურთიერთობების გარკვევის უაღრესად ძვირ საშუალებად აქცია, ქვეყნებს ერთმანეთზე ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტებიც გაუზინა, რომელ ცდუნებასაც სახელმწიფოები ხშირად ვერ უძლებენ. შესაბამისად გასაკვირი არც არის, რომ ეკონომიკური სანქციების (economic statecraft) თემატიკა დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება. დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობებისათვის უბრალოდ თვალის გადავლება კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ეკონომიკური იძულების გამოყენება გლობალური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილადაა ქცეული. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ ნაშრომში განხილული საკითხი აქტუალობის მზარდი ტენდენციის მქონე თემატიკას ეხება და საინტერესო ინფორმაციის მატარებელი იქნება ამ მიმართულებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

ეკონომიკურ სანქციებზე საუბრისას, ბუნებრივია, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მათი ეფექტურობის საკითხის განხილვას, და მთავარი კითხვაა თუ რამდენად

შესაძლებელია ეკონომიკური იძულების მეთოდებით პოლიტიკური მიზნების მიღწევა. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა შეხედულებებს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, თუ რა გარემოებების არსებობამ შეიძლება შეუწყოს ხელი სანქციების ეფექტურ მუშაობას (მათი ეფექტურობის ალბათობის გაზრდას ან პირიქით, მის შემცირებას). ამ საკითხზე მომუშავე ავტორთაგან ერთ ერთმა - დანიელ დრეზნერმა სანქციების ეფექტურობის გასაანალიზებლად შემოგვთავაზა ე.წ. კონფლიქტის მოლოდინის მოდელი, რომლის ძირითადი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო დიდია კონფლიქტის მოლოდინი სამიზნესა და დამწესებელს შორის, მით უფრო ნაკლებია სანქციებით პოლიტიკური მიზნების მიღწევის ალბათობა. სწორედ ამ თეორიის ჭრილში იქნება განხილული რუსეთ-საქართველოსა და ინდოეთ-ნეპალის ქეისები რომლებშიც განსხვავებული შედეგები დადგა მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მოლოდინი ორივეგან მაღალი იყო.

თუ რა კრიტერიუმებით შეგვიძლია კონფლიქტის მოლოდინის განსაზღვრა ამას შემდგომში შევეხები, თუმცა ამჯერად საჭიროა იმის ჩვენება თუ რა სახის სანქციები იყო დაწესებული ორივე შემთხვევაში სამიზნეების წინააღმდეგ და თუ რას ისახავდა მიზნად.

რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გამოყენებული იყო რამდენიმე სახის სანქცია კერძოდ ენერგეტიკული ემბარგო, სავაჭრო ბოიკოტი, და რუსეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული შეზღუდვები (მათი დეპორტაცია). რაც შეეხება სანქციების მიზნებს, ამ იძულების მიზანი იყო იმ დროს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის - ნაციონალური მოძრაობის მიერ არჩეული პროდასავლური კურსის შეცვლა და საქართველოს დატოვება რუსული გავლენის ორბიტაზე. თუმცა როგორც ავლნიშნეთ ამ შემთხვევაში სანქციებმა შედეგი ვერ გამოიღო.

რაც შეეხება ნეპალს, მას შემდეგ რაც მან 1988 წლის ივნისში დაიწყო სამხედრო კავშირების გაღრმავება ჩინეთთან (რაც გულისხმობდა ჩინეთისგან დაახლოებით 20 მლნ. დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობის, მათ შორის მსუბუქი იარაღის, საბრძოლო მასალის და 16 ანტისარაკეტო იარაღის შესყიდვას) და ამავე დროს

შემოიღო რეგულაცია ნეპალში მომუშავე ინდოელი მუშებისთვის(სავალდებულო გახდა ინდოელი მუშებისთვის სამუშაო ნებართვის აღება), მაშინ როცა ჩინეთს ნებას რთავდა ინდოეთთან ახლოს მდებარე სტრატეგიულ ადგილებში საამშენებლო პროექტები განეხორციელებინა, ინდოეთმა გადაწყვიტა ნეპალი აღნიშნული ქმედებებისათვის დაესაჯა და საკუთარი უპირატესი გავლენის ქვეშ დაებრუნებინა. ამისათვის ინდოეთმა უარი განაცხადა 1978 წელს ხელმოწერილი ორი სხვადასხვა ხელშეკრულების განახლებაზე, რომლითაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და სატრანზიტო ურთიერთობები რეგულირდებოდა. შედეგად ნეპალი 1989 წლის 23 მარტიდან 1990 წლის ივნისამდე სავაჭრო და სატრანზიტო ბლოკადაში მოექცა რის შედეგადაც იძულებული გახდა სრულად წასულიყო დათმობაზე (Jean-Marc, Blanchard, Mansfield, Ripsman, 2000, 244-246).

რადგან კონფლიქტის მოლოდინი ორივეგან მაღალი იყო, თუმცა სანქციების შედეგად განსხვავებული შედეგები დადგა, რაც დრეზნერის აღნიშნულ მოდელთან წინააღმდეგობაში მოვიდა, კვლევის განმავლობაში შევეცდები გამოვარკვიო თუ რამ განაპირობა ეს განსხვავება.

საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რატომ იმუშავა სანქციებმა 1989-1990 წლებში ინდოეთ-ნეპალის შემთხვევაში და არ იმუშავა რუსეთ-საქართველოს შემთხვევაში (2006-2007 წლებში¹) როცა დათმობაზე წასვლის პოლიტიკური ფასი ორივე სამიზნისთვის მაღალი იყო და უკავშირდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საკითხებს?

ჰიპოთეზა: განსხვავებული შედეგების დადგომა გამოიწვია საქართველოსა და ნეპალის რადიკალურად განსხვავებულმა გეოგრაფიულმა მოცემულობამ. კერძოდ, ერთის მხრივ, ნეპალის სპეციფიკურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ (ნეპალის, როგორც ინდოეთით ჩაკეტილი ქვეყნის ობიექტურმა მოცემულობამ) შეუძლებელი გახდა ნეპალისთვის ინდოეთის სანქციებით მიყენებული დარტყმის გაძლება. ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ (რომელსაც ზღვაზე გასასვლელის გარდა ყოველგვარი ლანდშაფტური სირთულეების გარეშე,

¹ იგულისხმება სანქციების შემოღების პერიოდი და არა სანქციების ძალაში ყოფნის დრო.

მაიძულებლის გამოკლებით, კიდევ სამი სახელმწიფო ემეზობლებოდა) შესაძლებლობა მისცა მას, რომ გაეძლო რუსეთის სანქციებისათვის.

დამოუკიდებელი ცვლადი: ვგულისხმობ სამიზნეთა გეოგრაფიულ მდებარეობას რომელიც შესაძლოა შემდეგი კრიტერიუმებით შეფასდეს: A. უშუალოდ რამდენი სახელმწიფო ესაზღვრება სამიზნეს მაიძულებლის გარდა; B. აქვს თუ არა სამიზნეს ზღვაზე გასასვლელი; C. აქვთ თუ არა სამიზნის უშუალოდ მოსაზღვრე სახელმწიფოებს ის რესურსები, რაც სამიზნეს შეუწყდა სანქციების შედეგად; D. აქვთ თუ არა ამ რესურსების სამიზნისთვის მიწოდების სურვილი და უნარი (გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე²); E. ყურადღება უნდა მიექცეს მესამე მხარეებთან სამიზნის უშუალო საზღვრის ლანდშაფტურ თავისებურებებსაც.

დამოუკიდებელი ცვლადი: იგულისხმება ერთის მხრივ საქართველოს არ დამორჩილება რუსეთის მოთხოვნებზე. უფრო მეტიც, პროდასავლური კურსის კიდევ უფრო გაძლიერება, რუსეთისგან ენერგო-დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნად დასახვა და ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ხოლო მეორეს მხრივ ნეპალის მიერ უარის თქმა ჩინეთთან სამხედრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე და სრულად დათანხმება ინდოეთის მოთხოვნებზე.

მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისებრივი და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი.

2. ლიტერატურული მიმოხილვა

არაერთი მეცნიერის ნაშრომი არსებობს ეკონომიკური სანქციების თემატიკაზე რომლებიც მიმოხილავენ ეკონომიკური იძულების სხვადასხვა ასპექტებს და ცდილობენ პასუხი გასცენ მთავარ შეკითხვას - თუ რამდენად მუშაობს ეკონომიკური სანქციები პრაქტიკაში. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად აშკარა გახდება მათი არაერთგვაროვანი დამოუკიდებულება ამ საკითხზე, თუმცა რაც ყველა მათგანს

² ვგულისხმობ თუ რამდენად შეძლებენ სამიზნის უშუალოდ მოსაზღვრე მესამე მხარეები გადალახონ მაიძულებლისადმი შიში, ან თუნდაც პრაგმატიზმით გამოწვეული უმოქმედობა და არ მიატოვონ მეზობელი განსაცდელში.

აერთიანებს არის მათი მცდელობა ჩამოაყალიბონ ის გარემოებები რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს ან ხელს უშლის სანქციების ეფექტურ მუშაობას. სწორედ ამ კუთხით არსებული ლიტერატურის გამდიდრების მცდელობას ისახავს მიზნად აღნიშნული ნაშრომი. თუმცა, სანამ უშუალოდ სანქციების ეფექტურობის მიმოხილვას დავიწყებდეთ, მანამდე საჭიროა განიმარტოს თუ რა არის არამარტო ეკონომიკური იძულება არამედ, ზოგადად statecraft-ი და რა ასპექტებისაგან შედგება ის.

დევიდ ბოლდუინი ეკონომიკურ ძალაუფლებას/დიპლომატიას (Economic Statecraft-ს) განმარტავს როგორც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ძალის გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. ეკონომიკა აქ უნდა მივიჩნიოთ, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი პოტენციაში. ხოლო რაც შეეხება თავად ტერმინს - Statecraft, ის განიმარტება როგორც სახელმწიფო საქმეების წარმართვის ხელოვნება. ეს უკანასკნელი კი თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ყველა იმ აქტივობას რაც აუცილებელია მის მიერ არჩეული ღირებულებებისა და დასახული მიზნების მიღწევისათვის სხვა ქვეყნებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში (Baldwin, 1985, 8-14). ამ პროცესში სახელმწიფო აუცილებლად იყენებს ძალაუფლებას (Power) - რაც ორ სუბიექტს შორის ურთიერთობაში ვლინდება და გულისხმობს ერთი აქტორის მიერ მეორის იძულებას გააკეთებინოს მას ის, რასაც ეს უკანასკნელი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა (იქვე, 20). რაც შეეხება „სთეიტქრაფტის“ სხვადასხვა საშუალებებს ისინი შეიძლება იყოს პროპაგანდა, დივერსია, ეკონომიკური ქმედებები, სამხედრო ქმედებები ან მათით მუქარა და სხვა. ავტორი საუბრობს სანქციების მიზნებზედაც და ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათი მიზანია სამიზნის პოლიტიკური ქცევის შეცვლა, ხშირ შემთხვევაში სხვებისთვის სიგნალის გაგზავნაც არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია ხოლმე. გარდა ამისა ბოლდუინი მიუთითებს იმაზეც, რომ აუცილებელია კარგად გავარჩიოთ ის, თუ რამდენად გახდა გამოყენებული ინსტრუმენტი გავლენის მოხდენის საფუძველი, რადგან ავტორის აზრით ეკონომიკური სანქციები შეიძლება ეფექტური იყოს არა ეკონომიკური ზიანის მიყენების გამო, არამედ დამწესებლის მიერ სანქციის დაწესებით გაგზავნილი სიგნალის გამო (იქვე, 24).

კლავს კნორი საუბრობს ეკონომიკური ძალაუფლების ორ - აქტიურ და პასიურ მხარეზე. აქტიურ მხარეში ის გულისხმობს ქვეყნის უნარს ეკონომიკური ძალის

გამოყენებით გავლენა მოახდინოს სხვებზე, ხოლო პასიურ მხარეში კი იგულისხმება სახელმწიფოს უნარი გაუძლოს სხვის ეკონომიკურ ზეწოლას. ის ასევე განასხვავებს ერთმანეთისგან ეროვნულ ეკონომიკურ სიმდიდრეს (National economic wealth) და ეროვნულ ეკონომიკურ ძალაუფლებას (National economic power) და ამბობს, რომ სიმდიდრე, ეს არის მხოლოდ ქვეყნის მსყიდველობითი უნარი, ხოლო ეკონომიკური ძალაუფლება გულისხმობს ამ სიმდიდრის, ან ეკონომიკური პოლიტიკის მიზანმიმართულად გამოყენების უნარს სხვების პოლიტიკური ქცევის შესაცვლელად. კნორის მიხედვით სახელმწიფოს შესაძლო ეკონომიკური ძალა ემყარება ოთხ ბაზისს: ეკონომიკურ სიმდიდრესა და გამძლეობას, ამ სიმდიდრის ძალაუფლებისათვის გამოყენების სურვილს, მის ამგვარ მიზნებზე მიმართვის უნარს და ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას გამოიყენოს ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკური მიზნებისათვის (Knorr, 1975, 79-84). ჩვენს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ორივე ქეისში არსებული მაიმულებელი (რუსეთიც და ინდოეთიც) აკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმებს. გარდა ამისა ავტორი ეკონომიკური გამძლეობის ელემენტებსაც აყალიბებს, რომლებიც გამოგვადგება სამიზნეებზე მიყენებული ეკონომიკური დარტყმის გასაანალიზებლად. კერძოდ, მისი მიხედვით რაც მაღალია ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ტრანზაქციების წილი მშპ-ში, მით უფრო მოწყვლადია ეს უკანასკნელი სხვების მხრიდან გავლენის მოხდენის კუთხით. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სტრუქტურის ხასიათს - მოთხოვნა-მიწოდების შედარებით არაელასტიურობას და ვაჭრობის შედარებით კონცენტრაცია-დივერსიფიკაციას გეოგრაფიული თვალსაზრისით (იქვე, 84-88). ჩვენს შემთხვევაში ორივეგან გამოჩნდა სამიზნეთა სისუსტე ვაჭრობის არადივერსიფიცირებულობის კუთხით და ასევე მოთხოვნის არაელასტიურობის კუთხითაც, რადგან ორივე მათგანი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მაიმულებლის ბუნებრივ რესურსებზე.

გრეიკო და იკენბერიც საუბრობენ თავიანთ წიგნში სანქციების შესახებ და განმარტავენ მას როგორც ინიციატორის მიერ ეკონომიკური ურთიერთობების რეალურ გაწყვეტას ან გაწყვეტით დამუქრებას სამიზნის მიმართ, რათა დაიყოლიოს ეს უკანასკნელი თავის პოლიტიკურ ნებაზე. ისინი გამოყოფენ ფინანსური და სავაჭრო სანქციების სხვადასხვა ტიპებს. სავაჭრო სანქციებს მიაკუთვნებენ ბლოკადას

(მაიძულებლის მიერ ყოველგვარი ვაჭრობის გაწყვეტის მცდელობა სამიზნესა და დანარჩენ სამყაროს შორის), *ემბარგოს* (რომლის დროსაც მაიძულებელი აჩერებს თავისი ექსპორტის მთლიან ან ნაწილობრივ მიწოდებას სამიზნისათვის), *ბოიკოტს* (რომლის დროსაც მაიძულებელი მთლიანად ან ნაწილობრივ კრძალავს იმპორტს სამიზნის მხრიდან) და *ხელსაყრელი სავაჭრო უფლებების ჩამორთმევას სამიზნისთვის* (ე.წ. most-favored-nation-ის სტატუსის გაუქმებას) (Greico, Ikenberry, 2003, 164-166). ჩამოთვლილთაგან ბლოკადას (რომელიც თავისთავად გულისხმობს დანარჩენებსაც) ადგილი ჰქონდა ინდოეთ-ნეპალის შემთხვევაში, ხოლო ემბარგო და ბოიკოტი გამოყენებული იყო რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ. რაც შეეხება ფინანსურ სანქციებს მასში ავტორები აერთიანებენ სავალუტო თავდასხმებს, აქტივების გაყინვასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აკრძალვებს სამიზნე ქვეყნისადმი.

სანქციების ეფექტურობაზე საუბრისას გრეიკო და იკენბერი გამოყოფენ 5 გარემოებას რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ეფექტურობაზე. 1. ისინი ამბობენ რომ სამიზნე, რომელიც მოუმზადებელი ხვდება სანქციებს უფრო მოწყვლადია მათ მიმართ ვიდრე ის ვინც ელოდება მას და ემზადება წინასწარ; 2. თუკი მაიძულებელი სამიზნის ეკონომიკური სარგებლის ერთადერთი წყაროა მაშინ წარმატების ალბათობა უფრო იზრდება; 3. თუკი სამიზნე ქვეყნის მთავრობის ადგილობრივი მხარდამჭერები სანქციის შედეგად სერიოზულად ზარალდებიან, წარმატების ალბათობა დიდია რადგან მთავრობა ეცდება თავი აარიდოს ადგილობრივი პოლიტიკური ფასის გადახდას (იგულისხმება ხელისუფლების დაკარგვა); 4. ზოგჯერ სანქციების შემოღებამ სამიზნეს შეიძლება წინააღმდეგობის გაძლიერებისკენ უბიძგოს ვიდრე დამორჩილებისკენ. აქ ავტორები გულისხმობენ თითქმის იგივეს, რასაც დანიელ დრეზნერი თავის კონფლიქტის მოლოდინის მოდელში (რომელზეც ცალკე ქვეთავში ვისაუბრებ). ანუ, თუ ზოგადი ურთიერთობა მაიძულებელსა და სამიზნეს შორის მეგობრულია, სანქციების წარმატების მეტი შანსია რადგან სამიზნემ იცის, რომ დამორჩილება დამატებით მოთხოვნებში არ გადაიზრდება, ხოლო თუ დაპირისპირებული მხარეები მტრები არიან მაშინ პირიქით, წარმატების ალბათობა ნაკლებია; და ბოლოს მე-5 გარემოებაა ის, რომ სანქციების დაწესებამ შესაძლოა უკუშედეგი გამოიწვიოს და სამიზნე უფრო აქტიურად დაადგეს იმ გზას, რისი პრევენციაც მაიძულებლის თავდაპირველი მიზანი იყო (იქვე,

173-175). ჩემი აზრით, სწორედ ასე მოხდა რუსეთ-საქართველოს ქეისშიც, როდესაც საქართველომ კიდევ უფრო გააძლიერა პროდასავლური კურსი, მიზნად დაისახა რუსეთისგან ენერგო-დამოუკიდებლობის მიღწევა და გააღრმავა ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიცირებულობაც.

თავიანთ ფართომასშტაბიან ნაშრომში, ამავე საკითხის განხილვისას ჰაფბაუერი, სკოტი, ელიოტი და ბარბარა ოეგიც სვამენ მთავარ კითხვას - მუშაობს თუ არა სანქციები? ისინი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობენ 1914-2000 წლების დიაპაზონში არსებული 174 ქეისის ანალიზის შედეგად, და გარდა იმის ჩვენების თუ რა შემთხვევაში არ მუშაობს სანქციები, ავტორები ნაშრომის ბოლოს გვთავაზობენ თავიანთ რეკომენდაციებს თუ როგორ შეიძლება სანქციების წარმატების ალბათობის გაზრდა. თავდაპირველად ისინი საუბრობენ სანქციების მიზნის განსაზღვრის სირთულეზე და ამბობენ, რომ სანქციები შეიძლება მიმართული იყოს საშინაო და საგარეო კუთხით პრობლემის გადაჭრის დემონსტრირებისაკენ, სამიზნის დასასჯელად, სხვების შესაკავებლად მომავალში, ან მიმდინარე პოლიტიკის შესაცვლელადაც სამიზნე ქვეყნის შიგნით. ზოგჯერ კი მათ შეიძლება მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰგონდეთ, შიდა ზეწოლებიდან გამომდინარე სულ არაფრის გაკეთების სანაცვლოდ, „რადაცის გაკეთების“ სადემონსტრაციოდ. (იგულისხმება შიგნით საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სანქციების სიმბოლურად დაწესება, ე.წ. „do nothing“-ის თავიდან აცილება) ანაც, მათივე თქმით, სანქციები სტატუს ქვოს შეცვლასაც შეიძლება არ ემსახურებოდეს და მიმართული იყოს მხოლოდ იმისკენ, რომ სამიზნემ კიდევ უფრო არ „შეტოპოს“, მაიძულებლის პოლიტიკური სურვილების წინააღმდეგ. (Hufbauer, Schott, Elliott, Oegg, 2007, 156-157)

ავტორები ქეისების შესაფასებლად იყენებენ 16 ბალიან შკალას სადაც თითოეული ქეისი ფასდება ორი კრიტერიუმის მიხედვით: 1. შეიცვალა თუ არა სამიზნემ პოლიტიკური ქცევა და 2. ამ შეცვლილ გადაწყვეტილებაში რამდენად იყო სანქციების წვლილი. თითოეულ კრიტერიუმს აფასებენ მაქსიმუმ 4 ქულით და ქეისის საბოლოოდ შესაფასებლად ამ კრიტერიუმებში დაგროვილ ქულებს ამრავლებენ ერთმანეთზე (ანუ შეცვლილ პოლიტიკურ ქცევას ამრავლებენ მასში სანქციის წვლილზე). წარმატებულად თვლიან სანქციებს იმ ქეისებში, სადაც შეფასება 9-იდან 16-მდე მერყეობს, თუმცა არც 8

ქულას მიიჩნევენ წარუმატებლად. სწორედ ამ სისტემით, 174 ქეისის გაანალიზების შემდეგ, ავტორები ამბობენ რომ მათ 34%-ში სანქციები წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს და აქედან გამომდინარე აფიქსერებენ თავიანთ მოსაზრებას, იმ შეხედულების წინააღმდეგ რომ „სანქციები არ მუშაობს“. მათი შეხედულებით სანქციები არ მუშაობს შემდეგი გარემოებების დროს: როდესაც სანქციებით მიყენებული ზიანი ვერ აღემატება სამიზნე სახელმწიფოს მხრიდან დათმობაზე წასვლით მიღებულ ზიანს უსაფრთხოების და სხვა მაღალი პოლიტიკის საკითხებში; როცა სანქციებს დამწესებელი აწესებს მხოლოდ იმიტომ, რომ უპასუხოს საშინაო მოთხოვნას, ან გააგზავნოს მხოლოდ სიგნალი. ანუ როცა საშინაო პოლიტიკურ ან რიტორიკულ მიზნებს როცა ემსახურება (ასეთად დასახელებულია პრეზიდენტ ბუშის მიერ დაწესებული სანქციები ჩინეთის წინააღმდეგ 1989 წელს ტიანანმენის მოედანზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის გამო); და როცა დამწესებელს ურთიერთგადამკვეთი ინტერესები და ურთიერთსაპირისპირო მიზნები აქვს სამიზნესთან ურთიერთობაში. (იქვე, 75-87; 159-160) აქედან ჩვენს შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოსა და ინდოეთ-ნეპალს შორის ბოლო ორ გარემოებას ადგილი არ ჰქონია თუმცა რაც შეეხება პირველ კრიტერიუმს ვფიქრობ, რომ უფრო ინდოეთ-ნეპალის ქეისში მიუახლოვდა დათმობის პოლიტიკური ფასი სანქციებით მიყენებული ზიანის ფასს.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ავტორები გვთავაზობენ 7 რეკომენდაციას რათა სანქციების წარმატების ალბათობა გაიზარდოს. 1. პირველი არის ის, რომ მაიმულებელმა ბევრი არ უნდა მოითხოვოს და რაც უფრო მცირე მოთხოვნები იქნება წაყენებული მით მეტია წარმატების ალბათობა. ბევრის მოთხოვნაში აქ იგულისხმება ის თუ რამდენად უკავშირდება მოთხოვნები მაღალი პოლიტიკის საკითხებს - პოლიტიკური კურსის შეცვლას, ან თუნდაც რეჟიმის ცვლილებას. 2. მეგობართან უფრო მეტია სანქციების წარმატების ალბათობა ვიდრე მტრებთან; 3. ავტოკრატიულ და ჩაკეტილ რეჟიმებთან სანქციები ნაკლებად მუშაობს, რადგან ისინი სანქციების ზიანს დაბალი ფენებისკენ მიმართავენ. (უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთ-ნეპალის ქეისი ამ პრინციპთანაც წინააღმდეგობშია, რადგან სანქციები დაწესდა ე.წ. პანჩაიატის ავტოკრატიული რეჟიმის პირობებში); 4. სანქციები არ უნდა გაიწელოს ეტაპობრივად არამედ უნდა დაწესდეს ერთბაშად; 5. მრავალმხრივი/მულტილატერალური სანქციები

(როცა დამწესებლები ბევრნი არიან) არ ნიშნავს რომ სანქცია წარმატებული იქნება, რადგან აქ შეიძლება თავი იჩინოს ერთსულოვნების შენარჩუნების პრობლემამ (ე.წ. „Free rider“-ობის პრობლემამ); 6. უნდა იყოს შერჩეული სწორი ინსტრუმენტი (მაგ. ე.წ. „ჭკვიანი სანქციები“(smart sanctions)); 7. მაიძულებელს არ უნდა ენანებოდეს მსხვერპლის გაღება სანქციის დასაწესებლად, თუმცა ეს მსხვერპლი იმხელაც არ უნდა იყოს, რომ თავადაც მნიშვნელოვნად დაზარალდეს (Hufbauer, Schott, Elliott, Oegg, 2007, 160-178). რა თქმა უნდა ამ ბოლო კრიტერიუმს არც რუსეთის და არც ინდოეთის მაგალითზე ადგილი არ ჰქონია, თუმცა აქვე მინდა ავღნიშნო, დანიელ დრეზნერის შეხედულება ძვირ სანქციებთან დაკავშირებით. კერძოდ ის აღნიშნავს, რომ რაც უფრო ძვირი უჯდება დამწესებელს სანქციის დაწესება მით უფრო ძლიერ სიგნალს აგზავნის და შეაბამისად სანქციების წარმატების ალბათობაც იზრდება. (Drezner, 1999, 18)

ზემოთხსენებული ავტორებისგან განსვავებით საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს სანქციების ეფექტურობის შესახებ რობერტ პეიპს. იგი სკეპტიკურად აფასებს ჰაფბაუერის, სკოტის, ელიოტის და ოეგის კვლევას და ამბობს რომ იმ 174 ქეისიდან 40-ში(34%-ში) სადაც ამ ავტორებმა სანქციები წარმატებულად ჩათვალეს, სულაც არ ყოფილა ასე. მისი აზრით ამ 40-ი ქეისიდან 18-ში ადგილი ჰქონდა ძალის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოყენებას, 8 ქეისში არ ჩანდა მკაფიოდ რომ სამიზნემ რაიმე დათმო, 6 ქეისს საერთოდ არ მიიჩნევს ეკონომიკური სანქციების მაგალითებად, 3-ს გაურკვეველად თვლის და მხოლოდ 5-ს მიიჩნევს სანქციების წარმატებულ ქეისებად (Pape, 1997, 93).

რობერტ პეიპი არ ეთანხმება ბოლდუინსაც, რომელიც ეკონომიკურ სანქციას არქმევს როგორც პოლიტიკური მიზნის მქონე ეკონომიკურ იძულებას ისე ეკონომიკური მიზნის მიღწევისთვის დაწესებულ შეზღუდვებს. მისი აზრით მათი გარჩევა აუცილებელია რადგან სხვაგვარად ვერ მოვახდენთ თეორეტიზებას თუ რომელი ინსტრუმენტი რა მიზნისთვის შეიძლება ჩავთვალოთ უფრო წარმატებულად. (მაგ. გარკვეული ტიპის ინსტრუმენტს შეიძლება მაღალი შედეგები ჰქონდეს ეკონომიკური მიზნის მიღწევისთვის, მაგრამ იგივე ინსტრუმენტი იმუშავებს თუ არა პოლიტიკური იძულების საკითხში ამის თქმა შეუძლებელი იქნება). სწორედ ამიტომ, პეიპი გამოყოფს ეკონომიკური ზეწოლის სამ სახეს: ეკონომიკურ სანქციებს, სავაჭრო ომს და

ეკონომიკურ ომს და მათ მიზნების მიხედვით აჯგუფებს. მისი აზრით ეკონომიკური სანქციები სამიზნის პოლიტიკური ქცევის შეცვლას ემსახურება, სავაჭრო ომი - მოწინააღმდეგის ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას, ხოლო ეკონომიკური ომი სამიზნის ეკონომიკური პოტენციალის დასუსტებისკენაა მიმართული რათა, საბოლოო ჯამში, შემცირდეს ამ უკანასკნელის სამხედრო შესაძლებლობები (Pape, 1997, 94-96). ჩვენს შემთხვევაში ორივე ქეისში სახეზეა ამ სამიდან პირველი - ეკონომიკური სანქციების გამოყენება სამიზნის პოლიტიკური ქცევის შესაცვლელად.

ბოლოს ავტორი გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებას იმის შესახებაც თუ რა შემთხვევაში შეიძლება სანქციები ჩაითვალოს წარმატებულად და თუ რა ფაქტორებმა შეიძლება აამაღლოს მათი ეფექტურობა. მისი აზრით ეკონომიკური სანქციები უნდა ჩაითვალოს წარმატებულად თუკი შემდეგი პირობები შესრულდება: 1. თუ სამიზნე დათმობაზე წავიდა მოთხოვნების მნიშვნელოვან ნაწილში; 2. თუ ეკონომიკური სანქციები დაწესდა ან მისით დამუქრება მოხდა მანამ სანამ სამიზნე შეიცვლიდა ქცევას და 3. თუ არ არსებობს სხვა სანდო ახსნა სამიზნის მიერ ქცევის ცვლილებაზე. სხვა სანდო ამხსნელებში ავტორი გულისხმობს სამხედრო შეტევის და დაპყრობის პროცესის ფაქტობრივ არსებობას სანქციების პარალელურად ან მთავრობის შეცვლას სამხედრო გადატრიალების ან მკვლელობის გზით (იქვე, 97).

რაც შეეხება იმ ფაქტორებს რამაც შეიძლება გაზარდოს სანქციების ეფექტურობა, ავტორი ამბობს რომ სანქციების წარმატებას უნდა ველოდეთ თუ: 1. მოთხოვნები არ ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა ტერიტორია, უსაფრთხოება, სიმდიდრე ან რეჟიმის საშინაო უსაფრთხოება; 2. თუ სამიზნის ვაჭრობა მთლიანად დამოკიდებულია მაიძულებელზე; და 3. როდესაც ქვეყანაში შემოსავალი ძალიან არათანაბრად ნაწილდება (იქვე, 109). საბოლოო ჯამში, პეიპის აზრი სანქციებთან დაკავშირებითა არის ის, რომ მათით არ მიიღწევა მაღალი პოლიტიკის მიზნები, თუმცა მისი თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზეწოლა არ უნდა იქნას გამოყენებული ძალასთან ერთად.

აშშ-ის მიერ ირანის მიმართ დაწესებული სანქციების განხილვისას, მეგან ო'სალივანიც აყალიბებს ორ ძირითად კრიტერიუმს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა

გაზარდოს მაიძულებელმა სანქციების დაწესებით წარმატების მიღწევის ალბათობა. კერძოდ, ავტორის აზრით, პირველ რიგში აუცილებელია სანქციების მკაფიოდ სტრუქტურირება და კონკრეტულ მიზნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა, ხოლო ამის შემდეგ სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენება მასთან ერთად. (ამ ასპექტში ო'სალივანი თითქმის სრულად თანხვედრაშია რობერტ პეიპის მოსაზრებასთან). ავტორი, პირველ მათგანში, ანუ სანქციების მკაფიოდ სტრუქტურირებაში, გულისხმობს რომ მაიძულებელმა სამიზნისთვის ზუსტი და მკაფიო უნდა გახადოს თუ რა კონკრეტული მოთხოვნები აქვს მისგან (სამიზნემ ზუსტად უნდა იციდეს თუ რას ითხოვს მაიძულებელი). ხოლო რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს - დამხმარე საშუალებების პარალელურ გამოყენებას, მასში ავტორი გულისხმობს, რომ მაიძულებელი არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ეკონომიკურ სანქციებს და პარალელურად უნდა გამოიყენოს სხვა საშუალებებიც როგორცაა დიპლომატიური იძულება, ძალით მუქარა, პერიოდულად ნეგატიური სანქციების ("Stick") პოზიტიურით ("carrot") შეცვლაც კი და სხვა. ანუ სანქციები მთლიანი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და არა განყენებული. სწორედ ამ კრიტერიუმების ჭრილში, ავტორი იწონებს ობამას ადმინისტრაციის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ირანთან მიმართებაში და ამბობს, რომ ობამამ შეძლო დაენახვებინა ირანისთვის ის, რომ აშშ-ს მიზანი იქ რეჟიმის შეცვლა კი არ იყო, არამედ ირანის ჩართულობა მისი ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებში, რითაც სანქციების მიზანი კონკრეტულ საკითხზე დავიწროვდა და შესაბამისად მეტი ეფექტიც შეიძინა. გარდა ამისა, ო'სალივანის თქმით ობამას ადმინისტრაციამ პარალელური ზეწოლის მეთოდების ამოქმედებაც მოახერხა, რის მაგალითადაც ასახელებს აშშ-ს გაძლიერებულ დიპლომატიურ მოქმედებებს გაეროს სანქციების მეოთხე რაუნდის დასაწყებად საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევის საკითხში და ირანის უშალო მეზობელი სპარსეთის ყურის ქვეყნების სამხედრო პოტენციალის ამაღლების კუთხით მუშაობას, რითაც, მისი აზრით, ირანის მიმართ დაწესებული სანქციები გაცილებით მძლავრი გახდა ვიდრე მანამდე (O'Sullivan, 2010, 7-23.). ჩვენს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მაიძულებელი - არც რუსეთი და არც ინდოეთი არ აკმაყოფილებდნენ აღნიშნულ კრიტერიუმებს.

უკეთესი თვალსაჩინოებისთვის, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ერთობლიობაში წარმოვადგინოთ ის ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკური სანქციების წარმატება-წარუმატებლობაზე და რაც კარგად აქვს შეჯამებული შვედ მკვლევარს სუზან ოქსენსტიერნას. ავტორის მიხედვით სანქციების ეფექტურობაზე მოქმედი ფაქტორები შემდეგი სახისაა: 1. *სანქციების ჩიხიდან თავდაღწევის მაღალი ფასი სამიზნისთვის* (Sanction Costs) - რომელიც უმეტეს შემთხვევაში დადებით გავლენას ახდენს სანქციების წარმატებაზე, მაგრამ არსებობს საპირისპირო შემთხვევებიც; 2. *სავაჭრო დამოკიდებულება* - რაც მეტადაა სამიზნე სახელმწიფო დამოკიდებული, ვაჭრობის კუთხით, მაიძულებელზე, მით უფრო უნდა ველოდეთ სანქციების წარმატებას, თუმცა ამის გარანტია ამ შემთხვევაშიც არ არსებობს; 3. *სანქციების ხანგრძლივობა* - ამ ფაქტორსაც ორი მხარე აქვს. ერთის მხრივ რაც უფრო ხანგრძლივად ხდება სანქციების დაწესება მით უფრო მეტი ზიანი ადგება სამიზნეს ჯამში და შესაბამისად იზრდება სანქციების წარმატების ალბათობა, თუმცა ამავე დროს სამიზნესაც მეტი დრო აქვს იმისათვის რათა მოახდინოს ადაპტაცია, რაც თავის მხრივ, სანქციების წარმატების ალბათობას შეამცირებს; 4. *სანქციების ხარჯი დამწესებლისთვის* - ამ შემთხვევაში არსებობს ზოგადი შეხედულება, რომ თუ დამწესებელს კატასტროფულად ძვირი უჯდება სანქციების დაწესება, მაშინ მას ესკალაციისკენ წასვლის ნაკლები სურვილი ექნება, რაც სანქციების წარმატების ალბათობას შეამცირებს. ხოლო მეორეს მხრივ არსებობს მოსაზრება, რომ დამწესებლის მიერ სანქციების დასაწესებლად გაღებული მსხვერპლის სიდიდე დადებითად აისახება სანქციების წარმატებაზე, რადგან დიდი მსხვერპლის შემთხვევაში სამიზნისადმი უფრო ძლიერი სიგნალი იგზავნება; 5. *დამწესებელთა რაოდენობა* - წესით ლოგიკურია, რომ მეტი დამწესებლის შემთხვევაში სამიზნის ზარალიც უნდა გაიზარდოს, თუმცა ემპირიულ მაგალითებზე დაყრდნობით მკვლევრები მიიჩნევენ, რომ დამწესებლების რაოდენობა მაინცდამაინც დადებითად არ აისახება სანქციების წარმატებაზე, რადგან ამ შემთხვევაში თავს იჩენს დამწესებლებს შორის ერთიანობის შენარჩუნების პრობლემა; 6. *საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუციების ჩართულობა* - ზოგადად მიიჩნევა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ზრდის სანქციების წარმატების ალბათობას, რადგან ამ შემთხვევაში ხდება უკეთესი კოორდინირება დამწესებლებს

შორის და მინიმუმამდე იზღუდება დამატებითი მოლაპარაკებებისა და კომპრომისების შესაძლებლობა სამიზნესა და ცალკეულ დამწესებელს შორის; 7. *მესამე-მხარის ჩართულობა (third-party countries)* - მესამე მხარის ჩართულობა ანუ სამიზნის მიერ ბაზრისა და ფინანსებისათვის ალტერნატიული წყაროს მოძიება, რათქმაუნდა არბილებს სანქციებით მიყენებულ დარტყმას და საბოლოო ჯამში ამცირებს მათი წარმატების ალბათობასაც³; 8. *ავტორიტარული რეჟიმი* - ამ ფაქტორსაც, ისევე როგორც მრავალ სხვას, ორი მხარე აქვს. ერთის მხრივ დემოკრატიებისაგან განსხვავებით ავტორიტარულ რეჟიმებს, თავიანთი მმართველობის ბუნებიდან გამომდინარე, ნაკლებ ორგანიზებულ ოპოზიციასთან უწევთ ბრძოლა და ადვილად შეუძლიათ პროტესტის ჩახშობა, რის გამოც მიიჩნევა, რომ ისინი უფრო უძლებენ სანქციებს. თუმცა, აქაც არსებობს საპირისპირო შემთხვევები და შეუძლებელია ვთქვათ, რომ სანქციები აპრიორი წარუმატებელია ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ⁴; 9. *სახელმწიფოს შესაძლებლობა* - ამ ფაქტორში იგულისხმება სამიზნე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მდგრადობის/მოქნილობის როლი სანქციების მიერ მიყენებული დარტყმის შემსუბუქებაში, კერძოდ იმაში თუ რამდენად შეუძლია სამიზნე სახელმწიფოს ხელისუფლებას მიღებული ზიანის გადანაწილება ისე, როგორც ამას თავად თვლის საჭიროდ; 10. *კონფლიქტის მნიშვნელობა* - აღნიშნული ფაქტორის მიხედვით სანქციების ჩიხიდან თავდაღწევის ფასი სამიზნისთვის, უნდა შეფასდეს იმ საწყისი კონფლიქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რამაც გამოიწვია სანქციების დაწესება. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია კონფლიქტური საკითხის მნიშვნელობა, მით უფრო მცირეა სანქციების წარმატების ალბათობაც (Oxenstierna, 2015, 24-27; 31).

3. მეთოდოლოგია

იმ არსებული ლიტერატურიდან გამომდინარე რასაც გამოვიყენებ კვლევის პროცესში ჩემს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის გასამყარებლად, მეთოდოლოგიური არჩევანი შევაჩერე რაოდენობრივ და თვისებრივ კონტენტ ანალიზზე. რაოდენობრივი კონტენტ

³ რაც კარგად გამოჩნდა რუსეთ საქართველოს ქეისში.

⁴ ეს ნათლად გამოჩნდა ინდოეთ-ნეპალის შემთხვევაშიც.

ანალიზის შემთხვევაში ხდება სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნების საფუძველზე დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების ურთიერთმიმართების დადგენა (ზურაბიშვილი, 2006, 101). აღნიშნული ნაშრომის შემთხვევაში გამოყენებული იქნება მაიძულელებლსა და სამიზნეს შორის სანქციებამდე და სანქციების შემდეგ არსებული სავაჭრო დინამიკის სტატისტიკური ანალიზი, რათა უკეთესად წარმოჩინდეს თუ რა გავლენა იქონია სანქციებმა სამიზნეზე ორივე შემთხვევაში. ეს დაგვეხმარება, რომ უფრო ზუსტად გავზომოთ, თუ რამხელა იყო არ დათმობის ფასი სამიზნისთვის ორივე ქეისში, რაც თავის მხრივ დაგვეხმარება სანქციების ეფექტიანობის უკეთესად გაანალიზებაში.

შერჩეული ქეისებისთვის მეტი დამაჯერებლობისა და მათთვის უფრო სარწმუნო ხასიათის მიცემისთვის, გამოყენებული იქნება თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდი. აღნიშნული ანალიზი გულისხმობს სხვადასხვა ანალიტიკური ტექნიკების გამოყენებას ტექსტის სისტემური ანალიზისთვის. თვისებრივი კონტენტ ანალიზისას ხდება სხვადასხვა ტიპის ჩანაწერთა (ინტერვიუების ჩანაწერები, დისკუსიები, ვიდეო ჩანაწერები, პროტოკოლები, ოფიციალური დოკუმენტები და სხვა) ანალიზი. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ტიპის ანალიზისას ხდება ტექსტებიდან არა მარტო აშკარა გზავნილების გამოყოფა არამედ ქვეტექსტებისაც, ანუ ლატენტური შინაარსის დადგენაც (Becker, Lissmann 1973). ეს ყოველივე აუცილებელია ნაშრომისათვის რადგან მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით ბოლომდე ვერ განვსაზღვრავთ იმას, თუ რამ გამოიწვია მაიძულელებისადმი არდათმობა ერთ შემთხვევაში, ხოლო სრულად დათმობა მეორე შემთხვევაში. საკვლევ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად გამოვიყენებ აღნიშნული საკითხების ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ექსპერტთა განცხადებებს, სტატიებს, მეცნიერ მუშაკთა და მკვლევართა ნააზრევს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებიან საკვლევ თემას.

შერჩეული ქეისების შედარებითი ანალიზი, ჩემს შემთხვევაში არის დისციპლინის მაინტერპრეტირებელი, რაც გულისხმობს რაიმე მოვლენის ასახსნელად, უკვე არსებული თეორიის გამოყენებას (Odell 2001, 163). თუმცა, რადგან არჩეული თეორია მოცემული ქეისებიდან ხსნის ერთს და ვერ ხსნის მეორეს, იქნება აღნიშნული თეორიის ნაწილობრივ ახალი ასპექტებით შევსების მცდელობა.

ვინაიდან ნაშრომის მიზანია ახსნას დისონანსი კონკრეტულ ქეისსა და თეორიას შორის, ვფიქრობ აღნიშნული მეთოდების გამოყენება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნება საკვლევ კითხვაზე უფრო სრულყოფილი პასუხის გასაცემად.

4. დანიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი

დრეზნერი განმარტავს ეკონომიკურ იძულებას, როგორც მუქარას ან მოქმედებას მიმართულს რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის მიერ (რომელთაც უწოდებს გამგზავნს/ადრესანტს - Sender) სხვა სახელმწიფოსთან ეკონომიკური კავშირების გასაწყვეტად (რომელსაც ის უწოდებს სამიზნეს - Target) თუკი ეს უკანასკნელი არ თანხმდება წამოყენებულ პოლიტიკურ მოთხოვნებს. ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა შეიძლება იყოს მრავალი სახის: სავაჭრო სანქციები, ბოიკოტები, დახმარების შეწყვეტა, ფინანსური აქტივების გაყინვა ან სატარიფო განაკვეთების ცვლილებით მანიპულაციები. (Drezner, 1999, 2)

დრეზნერს თავისი მოდელის უკეთ ასახსნელად მოჰყავს აშშ-ის მიერ 1990-იანების დასაწყისში ეკონომიკური სანქციების გამოყენების ორი მაგალითი, ისრაელის და ერაყის მიმართ. ერაყის შემთხვევაში, სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა, მიუხედავად იმისა რომ ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაღდა⁵, სანქციებმა მაინც არ იმუშავა (ერაყის პოლიტიკური ქცევის შეცვლის კუთხით). თუმცა აშშ-ის სანქციები წარმატებული აღმოჩნდა ისრაელის შემთხვევაში რასაც მოჰყვა კიდევ 1993 წლის ისტორიული შეთანხმება ისრაელსა და პალესტინის განმანთავისუფლებელ ორგანიზაციას შორის. სწორედ ამ თავსატეხის (puzzle) წარმოდგენით, რომ აშშ-ის ცალმხრივმა ზეწოლამ ისრაელზე იმუშავა, ხოლო გაეროს მრავალმხრივმა ზეწოლამ ერაყზე მარცხი განიცადა, დრეზნერი ცდილობს განავითაროს საკუთარი ხედვა ამ ფენომენის ასახსნელად და წარმოგიდგენს კონფლიქტის მოლოდინის მოდელს, როგორც სანქციების წარმატებულობისა თუ წარუმატებლობის შეფასების მნიშვნელოვან დეტერმინანტს. მისი აზრით სწორედ მომავალი

⁵ ქვეყნის GDP-ი დაახლოებით 40%-ით შემცირდა

კონფლიქტების მაღალმა მოლოდინმა აშშ-სა და ერაყს შორის განაპირობა ამ უკანასკნელის შეუპოვრობა დაწესებული სანქციების მიმართ, რადგან ერაყისთვის დათმობის ფასი გაცილებით მაღალი იყო⁶. რაც შეეხება ისრაელს, მისთვის როგორც აშშ-ის მოკავშირისთვის, დათმობის ფასი დაბალი კონფლიქტის მოლოდინიდან გამომდინარე უმნიშვნელო იყო და არ უკავშირდებოდა სახელმწიფოს უსაფრთხოებას. (Drezner, 1999, 1-3)

დამწესებლისა და სამიზნის ქცევის ასახსნელად ის ყურადღებას უთმობს შემდეგ ფაქტორებს: სანქციების ჩიხიდან გამოსვლის შესაძლო დანახარჯებს და ერთმანეთთან მომავალი კონფლიქტის მოლოდინს (იხ. დანართი 1). დრეზნერის მიხედვით მომავალი კონფლიქტის მოლოდინს ეკონომიკურ იძულებაზე ურთიერთსაპირისპირო ეფექტი აქვს. ერთის მხრივ ის დამწესებელს მეტ სურვილს აღუძრავს რათა გამოიყენოს სანქციებით მუქარა მოწინააღმდეგის მიმართ⁷, ხოლო მეორეს მხრივ კი მომავალი კონფლიქტის მოლოდინი ამცირებს დამწესებლის უნარს მიაღწიოს დათმობას სამიზნის მხრიდან. ანუ დრეზნერის მიხედვით სამიზნის მიერ აღქმული კონფლიქტის მოლოდინები განსაზღვრავს მისი დათმობების მასშტაბს.⁸ იმის გამო, რომ სამიზნე სახელმწიფო მოელის ხშირ კონფლიქტებს დამწესებელთან მომავალში, მას უჭირს მცირედენ დათმობაზე წასვლაც კი აწმყოში, რადგან აცნობიერებს, რომ დღეს დათმობით მისი პოზიცია⁹ მომავალი უთანხმოებების დროს მნიშვნელოვნად შესუსტდება. სამიზნის ასეთი სიფრთხილე გამოწვეულია იმის დიდი ალბათობით, რომ დამწესებელმა დღევანდელი დათმობით მიღებული მატერიალური თუ რეპუტაციული ეფექტით,¹⁰ შესაძლოა ისარგებლოს მომავალში უფრო დიდი დათმობების მისაღებად სამიზნე სახელმწიფოსაგან. შესაბამისად უკან დახვევის შედეგად მიღებული ზიანი სამიზნისთვის ორმაგია, ის არამარტო აგებს ახლო პერსპექტივაში არამედ ის

⁶ დაკავშირებული იყო სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან

⁷ ზოგადად, დამწესებლებისთვის (იგივე გამგზავნებისთვის) იძულებითი ხერხის გამოყენება უფრო სასურველია მტრებთან ვიდრე მოკავშირეებთან.

⁸ თუმცა დრეზნერი იმასაც აღნიშნავს, რომ სანქციების წარმატება დამოკიდებულია მოთხოვნის ტიპზეც (Drezner, 1999, p. 18)

⁹ პოლიტიკური ვაჭრობის კუთხით ხელსაყრელი პოზიცია

¹⁰ ამ შემთხვევაში იგულისხმება რეპუტაციული ზიანი რაც სამიზნემ შეიძლება მიიღოს დამწესებლის (მით უმეტეს მტრის) ულტიმატუმზე წაყოლის შედეგად, როგორც მისი უშუალო მტრის თვალში ისე სხვა აქტორების თვალში.

დამწესებელს აძლევს უფრო დიდ ბერკეტს მომავალ კონფლიქტებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში საგარეო პოლიტიკური ლიდერებისთვის წინა პლანზე გამოდის შედარებითი მოგების საკითხი - თუკი ისინი მოელიან რომ აწმყოში სარგებლის არათანაბარი განაწილება გამოიწვევს მათი ქვეყნის შემცირებულ სარგებელს მომავალში, ისინი ყველანაირად შეეცდებიან არაფერი დაუთმონ მოწინააღმდეგეს. (Drezner, 1999, 4-5, 29)

გარდა შედარებითი მოგებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეპუტაციის საკითხს. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკური ლიდერები ამა თუ იმ სახელმწიფოს შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ წარსულში ორმხრივ მოლაპარაკებებში მის გამოცდილებაზე (მის მიერ დაჭერილი პოზიციის კუთხით) ადვილი წარმოსადგენია თუ რამხელა დატვირთვას იძენს რეპუტაცია. მაგ. თუკი სახელმწიფოს, მოსალოდნელი ჩიხის წინაშე დგომისას, მუდმივად დათმობის ისტორია აქვს მაიძულებლის მიმართ, იმის ალბათობა, რომ მომავალში, კონკრეტულ სადავო საკითხებზე, სხვებმაც გამოიყენონ იძულების მეთოდი მის მიმართ, მაღალია (ისტორიულად ამგვარი მეთოდით მასთან წარმატების მიღწევის მაღალი მოლოდინიდან გამომდინარე) და პირიქით. შესაბამისად სამიზნე სახელმწიფო, დღევანდელი ულტიმატუმიდან, ასევე მაქსიმალურად ეცდება თავის დაღწევას ისე, რომ მისი რეპუტაცია სხვების თვალში არ დაკნინდეს. (Drezner, 1999, 32)

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე დრეზნერი საუბრობს, რეპუტაციისა და შედარებითი მოგების საკითხის მჭიდრო კორელაციაზე მოდავეებს შორის მოკავშირეობის დონესთან. მისი მიხედვით, მოკავშირეები სამომავლოდ ნაკლებ კონფლიქტებს მოელიან და ამიტომ ნაკლებად აინტერესებთ შედარებითი მოგება და რეპუტაცია. მოწინააღმდეგეები კი ხშირი კონფლიქტების მოლოდინიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ აღნიშნულ საკითხებს (იქვე, გვ. 33). ასე, რომ ნებისმიერ ქეისში, სანქციების ეფექტურობის შესაფასებლად, აუცილებელია იმის განსაზღვრა, მოდავეები მოკავშირეებად ითვლებიან თუ მტრებად.

ზემოთ წარმოდგენილი დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი, ვფიქრობ მნიშვნელოვანი და სანდო მეთოდია სანქციების ეფექტურობის შესაფასებლად. ამის

თქმის საშუალებას მაძლევს ისიც, რომ აღნიშნული მოდელი მჭიდრო კავშირშია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ გაბატონებულ და პარსიმონიულ თეორიასთან როგორც რეალიზმია. ეს უკანასკნელი საერთაშორისო სისტემაში სუვერენული სუბიექტების (ერი-სახელმწიფოების) გაჩენის დროიდან დღემდე¹¹ წარმატებით ხსნის საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე ფუნდამენტურ პროცესებს და შესაბამისად მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი დრეზნერის შემოთავაზებული მოდელი შეუძლებელია იყოს უსარგებლო, ეკონომიკური იძულების მეთოდების ეფექტურობის ანალიზის კუთხით. სწორედ ამის გამო ჩემთვის კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს აღნიშნული ნაშრომის კვლევის საგანი.

5. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ (ისტორიული რაკურსი)

ზოგადად, რუსული საგარეო პოლიტიკა ისტორიულად ემყარებოდა გავლენის სფეროთა გადანაწილების ლოგიკას და აქედან გამომდინარე, რუსული სახელმწიფო მისი არსებობის ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ ფორმაში, მუდმივად ცდილობდა საკუთარი ძალაუფლება განევრცო იმ ტერიტორიებზე, რომელსაც ის საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. თავისი არსებობის მანძილზე რუსეთი ყველაზე დიდ ტერიტორიებს აკონტროლებდა საბჭოთა პერიოდის 70 წლიანი დროის მონაკვეთში, როდესაც მან შეძლო 14 სახელმწიფოს საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა და შესაბამისად რუსეთმაც სწორედ ამ პერიოდით განსაზღვრა თავისი გავლენის სფეროს კონტურები. აქედან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, რომ 1991 წელს, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, „საბჭოთა დიდების“ ნოსტალგიით შეპყრობილ რუსეთს, ხშირი მცდელობები ჰქონდა პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრაციის კუთხით, რისთვისაც ამჯერად უფრო ხშირად იყენებდა ეკონომიკურ ძალაუფლებას ვიდრე პირდაპირ სამხედრო ძალას. პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს რუსეთის ეკონომიკური ძალაუფლების მოქმედება და მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა.

¹¹ მიუხედავად იმისა რომ გლობალიზაციის პერიოდში სახეზეა სხვა თეორიების მომმლავრებაც

საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან აღსავსეა კონფლიქტებითა და უნდობლობით. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან მოყოლებული (როდესაც პირველი დიპლომატიური კონტაქტი დამყარდა საქართველოსა და რუსეთის სამეფოს შორის)¹², რუსეთი მზაკვრულად იყენებდა ერთმორწმუნეობის საკითხს ქართულ მხარესთან ურთიერთობაში და „ქრისტიანი ძმებისთვის გულანთებულობის“ ილუზიის შექმნით, ჩვენდა საუბედუროდ, საუკუნეების განმავლობაში ატყუებდა მუსლიმანი მეზობლების აღზევებიდან გამომდინარე შეწუხებულ გულუბრყვილო ქართველ მეფეებს¹³. ამ გულუბრყვილობის კულმინაცია გახლდათ 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც კარგად გამოიყენა რუსეთმა ქართული სახელწიფოს სუვერენიტეტის გასანადგურებლად და 1801 წელს¹⁴ დაასამარა კიდევ ქართული სახელმწიფოებრიობა. ამის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე საქართველომ მცირე ხნით, სულ რაღაც 3 წლით შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება, როდესაც 1918 წლის 26 მაისს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა თავი, თუმცა 1921 წლის 25 თებერვალს ისევ მოხდა მისი ოკუპაცია და იძულებითი გასაბჭოება სსრკ-ის მიერ (მეტრეველი, 1998, 126-208; 237-304). 70 წლიანი საბჭოთა მმართველობის შემდეგ კი საქართველომ კვლავაც მოახერხა რუსეთის მარწუხებისგან თავის დახსნა და ამჯერად 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სსრკ-სგან დამოუკიდებლობა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები 1991 წლის შემდეგაც პრობლემებით აღსავსე დარჩა. რუსეთმა ამჯერად ხელი შეუწყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გაღვივებას, რითაც შეეცადა საქართველოს დესტაბილიზაციას, ამ უკანასკნელის საკუთარი გავლენის ქვეშ დატოვების მიზნით. საქართველოს ტერიტორიაზე ორი სეპარატისტული რეგიონის ჩამოყალიბებით რუსეთმა საქართველოზე ზეგავლენის მნიშვნელოვანი ბერკეტები მოიპოვა, რითაც დღემდე განაგრძობს მანიპულირებას და იმ ხანადაც მიაღწია სასურველ შედეგს - მოახდინა საქართველოს იძულებითი გაწევრიანება დსთ-ში 1993 წელს (Kakachia & Cecire, 2013, 17). გარდა ამისა, რუსეთი

¹² იგულისხმება 1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს მიერ ელჩების გაგზავნა მოსკოვის მთავარ - ივანე III-სთან <https://iberiana.wordpress.com/m-mchedlishvil/m-mchedlishvili-3/>

¹³ თუნდაც მხოლოდ პეტრე I მიერ ვახტანგ VI და ეკატერინე II მიერ ერეკლე II უშუალო მოტყუების ფაქტებიც კი კმარა რუსეთის უსინდისო პოლიტიკის საილუსტრაციოდ საქართველოსთან მიმართებაში.

¹⁴ 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I ხელმოწერით გამოიცა მანიფესტი საქართველოს (ქართლ-კახეთის სახელმწიფოს) რუსეთთან შეერთების შესახებ.

1990-იანებში ეკონომიკურ ბერკეტებსაც იყენებდა საქართველოში საკუთარი გავლენის შენარჩუნების მიზნით, თუმცა მისი ამგვარი მცდელობები ყოველთვის შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებოდა ამ უკანასკნელის მხრიდან. ამ მცირე ისტორიული რაკურსიდან გამომდინარეც კი ნეთელია, რომ რუსეთის ეკონომიკური სანქციების ანალიზისას საქართველო და რუსეთი უნდა აღვიქვათ, როგორც მოწინააღმდეგეები და არა როგორც მოკავშირეები/მეგობრები.

რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე მიმართა. მისი მთავარი მოთხოვნები ამ პერიოდში ძირითადად შემდეგ საკითხებს ეხებოდა: 1. საქართველოს წევრობას დსთ-სა და კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციაში და 2. ბაზების შენარჩუნების უფლებას რუსული შეიარაღებული ძალებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ამოცანების მისაღწევად რუსეთის მხრიდან გამოყენებული იყო იძულების ისეთი საშუალებები როგორცაა: საკრედიტო დახმარებების შეწყვეტა¹⁵, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების შეჩერება, სატელეფონო მომსახურებისა და გაზსადენების არაერთხელ მიზანმიმართული გაწყვეტა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევის მცდელობა. გარდა ამისა რუსეთმა სამედიცინო მედიკამენტების მომარაგებაზეც ემბარგო დააწესა (მალიან მნიშვნელოვანი მედიკამენტის - ინსულინის ჩათვლით). ყოველივე ამის შედეგად საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი საგრძნობლად შემცირდა, კრიტიკულად მოიმატა ინფლაციის დონემ და ქვეყანაში მედიკამენტები და სამომხმარებლო საქონელი დეფიციტური გახდა. სანქციების შედეგად მიყენებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, გადაწყვიტა რუსეთის მოთხოვნები არ შეესრულებინა. პირიქით, ქართულმა მხარემ კიდევ გააჟღერა მოთხოვნა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისა და სამხედრო აღჭურვილობის ქართული შეიარაღებული ძალებისადმი გადაცემის თაობაზე. ქართული მხარის მიერ ამგვარი პოზიციის დაჭერა იმაზე მეტყველებს, რომ მაღალი კონფლიქტის მოლოდინიდან გამომდინარე, თბილისმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა სარგებლის

¹⁵ რომელსაც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ჩეულებრივად აძლევდა

განაწილების საკითხს, მომავალში რუსეთთან პოლიტიკური ვაჭრობის კუთხით და გადაწყვიტა ეკონომიკური სანქციებისათვის ბოლომდე გაეძლო. (თანაც აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, შეუძლებელია საქართველოს მთავრობას სამომავლოდ რუსეთზე ენერგო და სავაჭრო დამოკიდებულების შეცვლის იმედი არ ჰქონოდა, რასაც, ჩემი აზრით, ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე არსებული პოტენციალი უმაგრებდა ზურგს). თუმცა ვითარება რადიკალურად შეიცვალა, როდესაც რუსეთმა სამხედრო ძალის პარალელური გამოყენება დაიწყო. (Drezner, 1999, 193-198)

მიუხედავად იმისა, რომ რუსულმა მხარემ საბოლოოდ მაინც მიაღწია თავის მიზნებს (1993 წლის 22 ოქტომბერს შევარდნაძის მიერ გამოცხადებული ბრძანება სააქართველოს დსთ-ში გაწევრიანების თაობაზე, ხოლო შემდგომში ქართული მხარე ასევე დათანხმდა 4 სამხედრო ბაზა, 25 წლით, რუსეთის განკარგულებაში გადასულიყო) აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს მან შეძლო მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეკონომიკური ბერკეტებით იმედგაცრუებულმა სამხედრო ძალას მიმართა და დაუფარავად დაიწყო სეპარატისტული რეგიონების პირდაპირი სამხედრო მხარდაჭერა. მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის ამგვარი ქმედებების შედეგად შევარდნაძის მთავრობა ქვეყნის სრული კოლაფსის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ქართულმა მხარემ გადაწყვიტა დათმობებზე წასულიყო (იქვე, 196). ასე რომ, აღნიშნული დათმობა ეკონომიკურ სანქციებს კი არა სამხედრო ძალის გამოყენებას უნდა მივაწეროთ.

რუსეთმა საქართველოს მიმართ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება განაგრძო 2000-იან წლებშიც, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ. თუმცა სანამ უშუალოდ სანქციების აღწერაზე გადავიდოდე აცილებელია იმის ჩვენება თუ რამ განაპირობა რუსეთის გაღიზიანება, რომელმაც ერთმანეთზე მიყოლებით, სრულად აამუშავა ყველა ის ეკონომიკური ბერკეტი, რაც საქართველოს წინააღმდეგ გააჩნდა.

მოგეხსენებათ, რომ 2003 წლის ნოემბერში საქართველოში მოხდა „ვარდების რევოლუცია“, რის შედეგადაც შევარდნაძის ხელისუფლება ჩაანაცვლა ახალმა ძალამ - „ნაციონალურმა მოძრაობამ“, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. უნდა აღვნიშნო, რომ ეს მოვლენა გახლდათ იმ ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ ტალღის ნაწილი, რასაც

ადგილი ჰქონდა პოსტ საბჭოთა სივრცესში¹⁶ 2000-ინი წლების დასაწყისში და რასაც რუსეთი აღიქვამდა როგორც დასავლეთისგან მართულს და მის წინააღმდეგ მიმართულ პროცესს. საქართველოს შემთხვევაში, თავდაპირველად, კრემლის მესვეურებს იმედი ჰქონდათ, რომ ახალ ხელისუფლებასთან მოახერხებდნენ ურთიერთობების საკუთარი ინტერესების შესაბამისად აწყობას, თუმცა, მიუხედავად მოლოდინებისა, რუსეთი აშკარად გაწბილებული დარჩა. ნაციონალური მოძრაობა მალევე ჩადგა პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ანტი-რუსულად განწყობილ მთავრობათა რიგებში, რომლებმაც საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი აქტიურად მიმართეს ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციისაკენ (nato-pa.int, 24 April 2007). გარდა ამისა, სააკაშვილმა ახლო ურთიერთობები დაამყარა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან, ღიად მიემხრო მას და ერასა და ავღანეთში ქართული კონტიგენტის შემადგენლობა საგრძნობლად გაზარდა (Liklikadze, September 10, 2007). ასევე, 2005 წლის მაისში, ქართული მხარის მიწვევით, შედგა პრეზიდენტ ბუშის ვიზიტი თბილისში, რაც აშშ-ს მხარდაჭერის მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო საქართველოს მიმართ. ბუნებრივია ამგვარი ტენდენცია რუსეთს არ მოსწონდა და თანდათან მატულობდა კიდევ პოლიტიკური დაძაბულობა მოსკოვსა და თბილისს შორის, რამაც უკვე 2005 წლის ბოლოდან ეკონომიკურ სანქციებში ჰპოვა გამოხატულება. არსებული დაძაბულობიდან გამომდინარე, ქართველი ექსპერტები უკვე მანამდეც საუბრობდნენ თუ რა ეკონომიკური ზიანი შეიძლებოდა მიეღო საქართველოს რუსეთის მხრიდან (გაჩეჩილაძე, სექტემბერი 14, 2002). სწორედ, რომ საქართველოს პროდასავლური მისწრაფებები და დასავლეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დაახლოების სურვილი გახლდათ რუსეთის გაღიზიანების¹⁷ მიზეზი, რომელმაც საქართველოში საკუთარი გავლენის დაკარგვის რეალური საფრთხე დაინახა და შესაბამისი ზომების ამოქმედება გადაწყვიტა „ურჩი ქართველების“ დასასჯელად. რუსეთის ხელისუფლებამ სავაჭრო სანქციებით დაიწყო და ეტაპობრივად აამოქმედა ყველა მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტი რათა ძირი გამოეთახარა საქართველოს პროდასავლური მისწრაფებებისთვის. რათქმაუნდა,

¹⁶ საქართველოს გარდა, იგულისხმება უკრაინაში (2004 წელს) და ყირგიზეთშიც (2005 წელს) მომხდარი რევოლუციები. (Sokolova, nbenegroup.com, March 2012)

¹⁷ 2007 წლის 27 მარტის რუსეთის საგარეო პოლიტიკურ დოკუმენტში გამოხატულია უკმაყოფილება ნატოს გაფართოებისა და საქართველო-უკრაინის ნატოსთან სწრაფი დაახლოვების საკითხზე (www.mid.ru, 27 March 2007).

ნებისმიერი ტიპის სანქციის საბაზად რუსეთი სხვადასხვა ხელოვნურად გამოგონებულ მიზეზებს ასახელებდა, თუმცა რეალური მიზეზი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა იყო, რაც შემდგომში უფრო აშკარად გამოიკვეთა¹⁸.

5.1 სავაჭრო სანქციები საქართველოს მიმართ (2005-2006 წლები)

2005 წლის მონაცემებით საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს რუსეთი წარმოადგენდა, როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის მხრივ. საექსპორტო პროდუქციის 18%-ი რუსეთში გადიოდა, მთლიან იმპორტში რუსეთიდან შემოტანილი პროდუქციის საერთო წილი 15%-ს აღწევდა, ხოლო მთლიან სავაჭრო ბრუნვაში რუსეთის წილი 16%-ს შეადგენდა (იხ. დანართი 2. A. B. C.). ჩრდილოელ მეზობელთან ამგვარი ღრმა სავაჭრო კავშირები იყო საბჭოთაკავშირის მემკვიდრეობა. გამომდინარე იქედან, რომ სსრკ-ის გეგმიური ეკონომიკის პირობებში ყველა მასში შემავალ რესპუბლიკას თავისი ეკონომიკური ნიშა ჰქონდა მინიჭებული (საქართველოსთვის ამგვარი ნიშა იყო საკურორტო-დასასვენებელი ფუნქცია, ღვინის, ციტრუსების და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება) და შესაბამისად ყველას გარანტირებული ჰქონდა საკუთარი ნაწარმის გასაღების ბაზარი, საქართველოს ვაჭრობაც (და ზოგადად ეკონომიკაც) წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გადაეჯაჭვა რუსეთს. სსრკის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა რესპუბლიკას მემკვიდრეობად დარჩა რუსეთთან ასიმეტრიული ეკონომიკური კავშირები და გამონაკლისი არც საქართველო იყო. სწორედ ეს გარემოება გახლდათ ანატოლი ჩუბაისის მიერ დსთ-ის ქვეყნებთან მიმართებაში გაჟღერებული ინიციატივის მიზეზი. მისი თქმით, რუსეთის მისია შემდეგი დეკადების განმავლობაში უნდა ყოფილიყო ლიბერალური იმპერიის შენება პოსტ საბჭოთა სივრცეში (Torbakov, October 26, 2003).

ზემოთ ნაჩვენები ტენდენციიდან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, რომ ვაჭრობა იყო ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი, რაც გააჩნდა რუსეთს საართველოს წინააღმდეგ. შესაბამისად მან დაიწყო მისი ამოქმედება და 2005 წლის დეკემბერში, ფიტოსანიტარული ნორმების დარღვევის საბაზით, შეაჩერა საქართველოდან სოფლის მეურნეობის იმპორტი (განსაკუთრებით დაზარალდა ციტრუსის სექტორი). უკვე 2006 წლის მარტში კი, რუსეთის სანიტარული ინსპექციის უფროსმა - გენადი ონიშენკომ

¹⁸ აღნიშნული განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა 2008 წლის ზაფხულში განვითარებულ პროცესებში.

მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვის საბაზით გამოსცა ბრძანება, რომ სრულად აკრძალულიყო ქართული ღვინის იმპორტი. მისი ბრალდებით ქართული ღვინო შეიცავდა მძიმე მეტალებსა და პესტიციდებს, თუმცა რუსულ მხარეს ამის არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია (Tsereteli, 19 April, 2006). გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთმა, ამავე პერიოდში, იგივე მიზეზებით, მოლდოვურ ღვინოსაც ბოიკოტი გამოუცხადა, პოლიტიკურ წრეებში აქტიურად დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ რუსეთი ამით ცდილობდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დასჯას მათი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გამო. ეს რომ აშკარა პოლიტიკური ნაბიჯი იყო ამაზე ბევრი სხვა ფაქტორიც მეტყველებდა. კერძოდ ამ პერიოდში რუსეთსა და საქართველოს შორის დაპირისპირება იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობასთან დაკავშირებითაც (რუსეთის წევრობას WTO-ში საქართველო ბლოკავდა¹⁹), ქართული მხარე ასევე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის შუამავლის როლს სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში და ბევრი თვლიდა, რომ მოსკოვი ამით სმაგიეროს უხდიდა თბილისს. გარდა ამისა, ამ ნაბიჯით სერიოზულად ზარალდებოდნენ თავად რუსი იმპორტიორებიც (დაახლოებით 700\$ მლნ-ით), რადგან საქართველო და მოლდოვა ღვინის უმსხვილესი წყაროები იყვნენ რუსეთისთვის (Chivers, April 6, 2006). ამასთან, საეჭვო იყო ისიც, რომ ის ქართული ღვინის ბრენდები რაც რუსეთმა აკრძალა, უპრობლემოდ იყიდებოდა სხვა ქვეყნებში.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ღვინო სიდიდით მეორე საექსპორტო პროდუქცია იყო (მთლიანი ექსპორტის 10%-ი ეკავა) და მისი ექსპორტის 89%-ი რუსეთზე მოდიოდა, ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ დაზარალდა ქართული ეკონომიკა ამ აკრძალვის შედეგად. ბევრი ქართული ღვინის კომპანია რომლებსაც თავიანთი ნაწარმის 90%-ზე მეტი რუსეთში გაჰქონდათ, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ (BBC News, 30 March 2006).

რწმენა იმის შესახებ, რომ რუსეთის აღნიშნული ქმედებები, პოლიტიკურად იყო მოტივირებული და წარმოადგენდა საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების გამო სასჯელს, კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ რაც აკრძალვა გავრცელდა ქართულ

¹⁹ ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართული მხარე ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ეს ერთგვარი ბერკეტი, რუსეთთან პოლიტიკურ ვაჭრობაში სხვა საჭირბოროტო საკითხებთან მიმართებაში

მინერალურ წყლებზეც. გენადი ონიშენკომ, ღვინის აკრძალვიდან სულ რაღაც 3 კვირის შემდეგ ამჯერად მოიმიზეზა, რომ ქართული სასმელი წყალი (ბორჯომი, ნაბეღლავი) ვერ აკმაყოფილებდა სისუფთავის სტანდარტებს. ეკონომიკური რეფორმების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის - კახა ბენდუქიძის და იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის - სალომე ზურაბიშვილის შეფასებით რუსეთის ეს ნაბიჯი წარმოადგენდა ქართული პროდუქციის მიზანმიმართული დევნას და ატარებდა პოლიტიკურ სარჩულს (Parsons, April 19, 2006). იგივე შეფასებას აკეთებდა სოფლის მეურნეობის მინისტრი - მიხეილ სვიმონიშვილიც (BBC News, 5 May 2006). გამომდინარე იქედან, რომ მინერალური წყლებიც ერთ-ერთ უმსხვილეს საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენდა, საქართველოს ეკონომიკამ ამ აკრძალვითაც მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო.

მიუხედავად იმ მძიმე დარტყმებისა, რაც ქვეყანამ ღვინის, წყლის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბოიკოტირებით განიცადა, რუსეთის სავაჭრო სანქციებმა შედეგი ვერ გამოიღო. მართალია ახლო პერსპექტივაში ქვეყანას დიდი დარტყმა მიადგა, თუმცა ქართულ ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სავსებით შესაძლებელი იქნებოდა ამ შემოტევასთან გამკლავება და რუსეთის სავაჭრო სანქციების ჩიხიდან თავდაღწევის გულისთვის, არ ღირდა მაღალი პოლიტიკის საკითხის შეწირვა (საგარეო პოლიტიკური კურსის გადახედვა).

სანქციების ძალაში შესვლისთანავე საქართველოს მთავრობამ დაიწყო აქტიური მუშაობა ალტერნატიული ბაზრების მოსაძებნად. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქართული ღვინისათვის ახალი ბაზრების მოძიების პასუხისმგებლობა მაშინვე დააკისრა იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრს - ირაკლი ოქრუაშვილს. გამომდინარე იქიდან, რომ ღვინის ექსპორტისთვის არც თურქეთის, არც აზერბაიჯანის და მითუმეტეს არც სომხეთის ბაზარი არ გამოდგებოდა გასაგები მიზეზების გამო, ოქრუაშვილს ალტერნატიული ბაზრების ძიება უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებში დაევალა (Parsons, April 13, 2006). საქართველოს, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ღვინის ბაზარი უმალო სამეზობლოს გარეთ ეძებნა. რათქმაუნდა, ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობდა არამარტო ღვინის, არამედ ყველა იმ სოფლის მეურნეობის

სექტორებისთვის, რასაც რუსეთის სანქციები შეეხო. აღნიშნულ მცდელობებს უკვალოდ არ ჩაუვლია და რუსეთის ბოიკოტმა საგრძნობლად შეუწყო ხელი ბაზრების დივერსიფიკაციას. ახალი ბაზრების მოსაძიებლად ჩატარებული სამუშაოები კარგად აისახა საექსპორტო და საიმპორტო სტატისტიკაშიც. უკვე 2008 წლის მონაცემებით, რუსეთი ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორთა ათეულშიც კი ვერ შედიოდა. სამაგიეროდ საგრძნობლად იმატა ექსპორტმა საქართველოს უშუალო მეზობელ ქვეყნებში - თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ხოლო რაც შეეხება იმპორტს, რუსეთმა 1 ადგილიდან მე-5-ზე გადაინაცვლა (იხ. დანართი 3. A. B.). რამდენიმე წელიწადში ზოგადად ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა. თუკი რუსეთის ბოიკოტამდე ქართული ღვინის ექსპორტი 36 ქვეყანაში ხორციელდებოდა, 2011 წლისთვის ქართველი ღვინის მწარმოებლები 15 ახალ ბაზარზე იყვნენ გასულნი, მათ შორის ჩინეთის, პოლონეთის, გერმანიის და სინგაპურის ბაზრებზეც (CEPS, September 2014). გარდა ბაზრის დივერსიფიკაციისა, ამაღლდა ქართული ღვინის ხარისხიც, დაიხვეწა მისი დამზადების ტექნიკა და გახდა უფრო კონკურენტული ბაზარზე. სწორედ ამის გამო 2012 წლისთვის ღვინს ექსპორტმა 65\$ მლნ. შეადგინა, რაც მართალია 2005 წლის მონაცემს (81\$ მლნ.-ს) ბევრად ჩამორჩება, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ღვინის ინდუსტრიამ ისწავლა თუ როგორ გადარჩეს რუსული ბაზრის გარეშე (Kates, April 17, 2013).

5.2 ენერგეტიკული სანქციები (2006 წელი)

რუსეთის მიერ დაწესებულ სანქციებს შორის ალბათ ყველაზე უფრო მტკივნეული ენერგეტიკის სფეროში დაწესებული ემბარგო იყო. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაზე რუსეთს ამ სფეროშიც მძლავრი ბერკეტი გააჩნდა, ამ უკანასკნელთა რუსულ გაზზე დიდად დამოკიდებულების გამო. კერძოდ, ბელარუსი ამ მხრივ თითქმის სრულად რუსულ გაზზე იყო დამოკიდებული, ბალტიის ქვეყნები გაზის საჭიროების 89%-ს რუსეთისგან იღებდნენ, ხოლო უკრაინა და საქართველო შესაბამისად 69% და 88%-ით რუსულ გაზზე იყვნენ დამოკიდებული, ასევე დიდი იყო რუსულ ენერგორესურსებზე მოლდოვის დამოკიდებულებაც (Newnham, 2011, 137). სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარე რუსეთს ყოველთვის

გააჩნდა „ენერგეტიკული ხელკეტის“ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების ფუფუნება, რასაც განსაკუთრებით ხშირად იყენებდა 2000-იან წლებში (პუტინ-მედვედევის პერიოდებში). მოსკოვი დროდადრო სამიზნეების მიმართ არამარტო გაზის შეწყვეტის ხერხს მიმართავდა, არამედ ფასებით მანიპულირების ტაქტიკასაც ხშირად იყენებდა (ლოიალურ ქვეყნებს შეღავათიან ფასებს უწესებდა, ხოლო მისი გავლენისგან თავდაღწევის მოსურნე ქვეყნებს კატასტროფულად უძვირებდა ფასებს). საქართველოს შემთხვევაშიც ორივე ხერხი იყო გამოყენებული.²⁰

2006 წლის იანვარში, როდესაც საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ზამთარი იდგა, რუსეთმა კიდევ ერთი მძლავრი დარტყმა მიაყენა საქართველოს. კერძოდ, 22 იანვარს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან ახლოს მომხდარი აფეთქებების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა მოძოკ-თბილისის მთავარი და სარეზერვო გაზსადენები, რის შედეგადაც საქართველოს სრულად შეუწყდა გაზომომარაგება რუსეთისგან (BBC News, 22 January 2006). გარდა ამისა, მილსადენების აფეთქებიდან რამდენიმე საათში აფეთქდა ყარაჩაი-ჩერქეზეთში მდებარე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზიც, რომლიდანაც საქართველო მთლიანი ელექტრომომარაგების 25%-ს იღებდა (CNN, January 22, 2006). რუსეთმა აღნიშნული ფაქტი ჩეჩენი ტერორისტების ნამოქმედარს მიაწერა, თუმცა მომხდარი, ქართული მხარის მიერ მაშინვე შეფასდა, როგორც საბოტაჟი და რუსეთის კიდევ ერთი მიზანმიმართული მცდელობა, რათა ხელი შეეშალა საქართველოს პროდასავლური მისწრაფებებისთვის. მართლაც ბევრი გარემოება მიუთითებდა იმაზე, რომ ამ ყველაფრის უკან რუსეთის პოლიტიკური მიზნები იდგა. სააკაშვილის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ აფეთქებები მოხდა რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სადაც რუსი მესაზღვრეები საკმაოდ ბლომად იყვნენ წარმოდგენილი და ამავე დროს ორივე მილსადენის თითქმის ერთდროულად აფეთქების პარალელურად რამდენიმე საათის ინტერვალში, აფეთქდა მოშორებით მდებარე ელექტროგადამცემი ხაზიც, ამკარად მიანიშნებდა რუსულ კვალზე. პრეზიდენტი საუბრობდა იმაზეც, რომ მათ არაერთხელ ჰქონდათ მიღებული მუქარა რუსი პოლიტიკოსების და ოფიციალური

²⁰ ისევე როგორც უკრაინის და მოლდოვის შემთხვევებში.

პირების მხრიდან, რომ დაისჯებოდნენ გაზსადენების არ დათმობის გამო.²¹ ამასთანავე ეს ინციდენტი საეჭვოდ დაემთხვა რუსეთის მიერ უკრაინისთვის გაზომომარაგების შეწყვეტასაც, რაც ექსპერტთა შეფასებით მიმართული იყო იუშენკოს პროდასავლური მთავრობის დასასჯელად.

გარდა გაზომომარაგების უშუალოდ შეწყვეტისა, საქართველო გახდა რუსეთის მხრიდან ბუნებრივ აირზე ფასების მანიპულირების მსხვერპლიც. კერძოდ, უკვე 2005 წლიდან რუსეთმა, საქართველოსთან პოლიტიკური დამაბულობის მატებასთან ერთად, ეტაპობრივად დაიწყო გაზის ფასის გაზრდა. თუკი 2005 წელს საქართველო რუსეთისგან ყოველ 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს 63\$-ად ყიდულობდა, უკვე 2006 წელს ფასი თითქმის გაორმაგდა და 110\$-ი შეადგინა. თუმცა გაზპრომმა არც ეს იკმარა და 2006 წლის ნოემბერში ფასის კიდევ გაორმაგებით დაიმუქრა. ამჯერად რუსეთი აცხადებდა, რომ ქართულ მხარეს 2007 წლისთვის ყოველ 1000 კუბურ მეტრში მსოფლიოში არსებული „საბაზრო ფასი“ - 235\$²²-ი უნდა გადაეხადა. საგარეო საქმეთა მინისტრის - გელა ბეჟუაშვილის თქმით შემოთავაზებულ ფასზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში რუსეთი გაზის ჩაჭრასაც არ გამორიცხავდა (Buckley, November 3, 2006). მოსკოვმა მუქარა შეასრულა და შედეგად 2007 წელს დადგა ვითარება, რომელშიც საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც უწევდა ყველაზე ძვირი ფასის გადახდა რუსულ გაზში (BBC News, 22 December 2006). (იხ. დანართი 4. A.). აღნიშნულ დანართში კარგად ჩანს რომ მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი ქვეყნები (მაგ. ბელარუსი, სომხეთი) გაცილებით ნაკლებს იხდიდნენ, ვიდრე საქართველო და ეს ფაქტორი აშკარად მიუთითებს ამ გადაწყვეტილების პოლიტიკურ მოტივებზე.

საქართველომ რუსეთის აღნიშნული ნაბიჯების შედეგად უდიდესი ზარალი მიიღო. 2006 წლის ცივ ზამთარში, რამდენიმე დღის განმავლობაში, მოსახლეობა გათბობის გარეშე დარჩა, რომლებსაც ნავთის ქურებისა და ბალონის გაზის რიგებში უწევდათ საათობით დგომა. გაზის მიწოდების აღდგენამდე დაიხურა სკოლები და ზოგიერთი ქარხანაც (BBC News, 29 January 2006). გარდა ამისა, ქვეყანის ეკონომიკას მძიმე

²¹ გაზპრომს 2005-2006 წლებში ჰქონდა საქართველოზე გამავალი მილსადენის ხელში ჩაგდების მცდელობაც, თუმცა საბოლოოდ ეს ვერ მოახერხა (Papava, Feb 28, 2007).

²² ამ ფასად რუსულ გაზს დასავლეთ ევროპის მდიდარი ქვეყნები ყიდულობდნენ.

ტვირთად დააწვა გაზზე ფასების გაძვირებაც და 2007 წელს დაახლოებით 260 მილიონ დოლარამდე თანხის გაღება მოუწია გაზპრომიდან გაზის შესაძენად, რაც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო. ქართული მხარე იძულებული იყო, გაძვირებულ ფასს დათანხმებოდა რადგან შპს-დენიზის გაზსადენს(და ზოგადად აზერბაიჯანულ მხარეს) იმ დროისათვის არ შეეძლო რუსული გაზის სრულად ჩანაცვლება (Fuller, January 5, 2007). მიუხედავად იმ უდიდესი ზარალისა, რაც საქართველომ ამ სანქციების შედეგად მიიღო ახლო პერსპექტივაში, ქვეყანამ მაინც არ დათმო საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი და გადაწყვიტა სრულად გაემლო სანქციების ჩიხისთვის. პოლიტიკურ ელიტას კარგად ესმოდა, რომ თუ ამ საკითხში იოტისოდენად მაინც დათმობდნენ, ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვან ზიანს მიიღებდა, რასაც მიღებული თუ მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალი ნამდვილად ვერ შეედრებოდა. ასე რომ საბოლოო ჯამში, რუსეთის ენერგეტიკული სანქციებიც პოლიტიკურად არაეფექტური აღმოჩნდა.

ამ ინციდენტის შემდეგ თბილისი დიდი ძალისხმევით შეუდგა რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის საქმეს. ქართულმა მხარემ 2006 წლის იანვარშივე, გაზის მოწოდების შეწყვეტისთანავე, დაიწყო აქტიური მუშაობა ალტერნატიული წყაროების მოსაძებნად. საბედნიეროდ, საქართველოს უშუალო მეზობელი - აზერბაიჯანი უხვად ფლობდა ბუნებრივი აირის რესურსს, რაც სამომავლოდ დასახული მიზნისთვის (რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევისთვის) იმედიან სურათს ხატავდა. გაზის მოწოდების ინფრასტრუქტურული საშუალება საქართველოს ირანიდანაც ჰქონდა, რაც ერთჯერადად იყო კიდევ გამოყენებული, იმ ძნელბედობის ჟამს. კერძოდ, არსებობდა საბჭოთადროინდელი გაზგაყვანილობის ქსელის დღემდე შემორჩენილი მილსადენი, რომელიც 1980-იან წლებში ირანიდან აზერბაიჯანის გავლით, საქართველოს გაზმომარაგებისათვის გამოიყენებოდა. სწორედ ამ მილსადენის გამოყენებით (რომელიც ქართული მხარის ბედად 2004-2005 წლებში შეკეთდა) მოხდა მცირეოდენი გაზის მოწოდება იმ ყველაზე კრიტიკულ მომენტში, რამაც მეტ ნაკლებად შეამსუბუქა აბსოლიტურად უიმედო ვითარება (Chivers, January 24, 2006). საქართველოს ძალისხმევას, რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესაცვლელად უკვალოდ არ

ჩაუვლია, რასაც მეტწილად ამ ქვეყნის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას უნდა ვუმაღლოდეთ. უკვე 2007 წლიდანვე აზერბაიჯანმა დაიწყო გაზპრომის ჩანაცვლება და ეტაპობრივად იზრდებოდა გაზის მოწოდება როგორც სოკარის²³ მხრიდან ისე, შაჰ-დენიზის ნავთობსადენის მეშვეობით (იხ. დანართი 4. B.). მართალია დღესდღეობით სახეზეა ვითარება, როდესაც უკვე მხოლოდ აზერბაიჯანული გაზია ძირითადი წყარო საქართველოსთვის, თუმცა ეს არანაირად არ განიხილება როგორც საფრთხის შემცველი მდგომარეობა. არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე აზერბაიჯანი არც ახლო და არც შორეულ პერსპექტივაში არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მოწინააღმდეგედ/მტრად, განსხვავებით რუსეთისაგან. თუ საქართველოს სჭირდება აზერბაიჯანი, აზერბაიჯანსაც ძლიერ სჭირდება საქართველო, რადგან მას მხოლოდ საქართველოს გავლით შეუძლია, როგორც საკუთარი, ისე ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგორესურსების მიწოდება ევროპის ქვეყნებისათვის ისე, რომ რუსეთს მასზე ზემოქმედების რაიმე ბერკეტი არ ჩაუგდოს ხელში. რუსეთზე სატრანზიტო დამოკიდებულება აზერბაიჯანის „თავის ტკივილს“ წარმოადგენდა უახლოეს წარსულში და რადგან ამ ვითარების შეცვლა მის ინტერესებშიც შედიოდა აზერბაიჯანის და საქართველოს სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფნად გადაქცევას სამი ქვეყნის - საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის მტკიცე შეკავშირების საფუძველზე²⁴. პარადოქსია, თუმცა რუსეთი თავად გახდა ამის ხელშემწყობი ფაქტორი, მეზობლების მიმართ გატარებული თავისი აგრესიული პოლიტიკიდან გამომდინარე. ხოლო რაც შეეხება ელექტროენერჯის 25%-ის დაკარგავას, საქართველომ თავისი მდიდარი ჰიდრორესურსების წყალობით იოლად მოახერხა ამ დანაკლისის შევსება და ეს დიდ პრობლემად არ ქცეულა. მართალია ზამთარში, გაზრდილი მოხმარების გამო, ელექტრო ენერჯის იმპორტი მუდმივად ხორციელდება, თუმცა თვითკმარი ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის მუშაობა დღემდე გრძელდება. მეტი თვალსაჩინოებისთვის - იხილეთ დანართი 5.

²³ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია.

²⁴ ამის ნათელი გამოხატულებაა ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტები როგორცაა: ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, ასევე ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი.

5.3 სანქციები რუსეთში მცხოვრები ქართველი მიგრანტების წინააღმდეგ

მოგეხსენებათ საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალ ნიშნულზეა. დასაქმების პრობლემა 1990-იანებიდან მოყოლებული დღემდე აქტუალური საკითხია და მის მოგვარებას სახელმწიფო ჯერჯერობით ისევ ვერ ახერხებს. სწორედ ამის გამო, მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი, იძულებულია სამუშაო ქვეყნის გარეთ ეძებოს და საზღვარგარეთ გამომუშავებული ფულით არჩინოს საკუთარი ოჯახი. ქვეყნიდან გადინება განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოხდა 1989-2002 წლების ინტერვალში, როდესაც მილიონამდე ქართველმა დატოვა ქვეყანა და მათი 64%-ი სწორედ რუსეთის ფედერაციაში წავიდა (Tukhashvili, 2012, 8). რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორის რიცხვი შემდეგ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა და 2009 წლის მონაცემებით 800 000-ს აღწევდა, რაც 3.5 მლნ. მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი რიცხვია (Georgian Diaspora Study, 2012, p. 45). ყოველივე აქედან გამომდინარე იოლი მისახვედრია, რომ პუტინის ხელისუფლებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაზე დარტყმის მისაყენებლად, რაც აამუშავა კიდევ 2006 წლის ოქტომბერში.

2006 წლის სექტემბერში მოსკოვსა და თბილისს შორის მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, ქართულმა მხარემ დააპატიმრა და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა რუსული არმიის 4 ოფიცერს, რომლებსაც რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირსა და შპიონაჟში ედებოდათ ბრალი. საქართველოს იმდროინდელი შსს-ს მინისტრი - ვანო მერაბიშვილი აცხადებდა რომ, მათ მოახერხეს „ძალიან სერიოზული და საშიში ჯგუფის ნეიტრალიზება“. ამ ფაქტმა მყისიერად გამოიწვია პუტინის კიდევ უფრო გაღიზიანება, რომელმაც ქართული მხარე სახელმწიფო ტერორიზმში დაადანაშაულა და კიდევ უფრო გააფართოვა საქართველოს მიმართ დაწესებული სანქციები (BBC News, 2 October 2006). ამჯერად მისი სამიზნე რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორა გახდა. უკვე 2 ოქტომბრიდან რუსეთის ძალიან სტრუქტურების წარმომადგენლებმა დაიწყეს მასიური რეიდები იმ ბიზნეს დაწესებულებების მიმართ, რომელთა მფლობელებიც ეროვნებით ქართველები იყვნენ. ბევრი მათგანი თავად დახურეს, ბევრსაც აიძულეს რომ საკუთარი ნებით შეეწყვიტათ ბიზნეს საქმიანობა. მხოლოდ მოსკოვში, ქართველთა მფლობელობაში მყოფი 6 კაზინო

დაიხურა, გარდა ამისა დახურეს უამრავი ქართული რესტორანი და სასტუმრო. ბევრმა ქართველმა, გაიგეს რა რომ უმიზეზოდ ხურავდნენ ქართველთა ბიზნესებს, თავად გადაწყვიტეს საკუთარი ბიზნეს საქმიანობის შეჩერება მანამ, სანამ რეიდებში მოყვებოდნენ²⁵ (Human Rights Watch, 2007, 38-40). გარდა აღნიშნული რეპრესიული ღონისძიებებისა, რუსულმა მხარემ დაიწყო ქართველთა მასობრივი დეპორტაცია. ამ მიზნით, მიგრაციის ფედერალურ სამსახურში სპეციალური „ქართული“ დეპარტამენტიც კი შეიქმნა, რომელსაც მხოლოდ საქართველოდან ჩასულ მიგრანტებზე მუშაობა დაევალა (Коммерсант, 5 октября, 2006). რეგისტრაციისა და მიგრაციის წესების დარღვევის საბაბით, მხოლოდ ოქტომბერ-ნოემბერში 2300-მდე ქართველი გამოაძევეს ქვეყნიდან. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების მცირე ნაწილს მართლაც ჰქონდა გარკვეული სახის დარღვევები დოკუმენტებში, უმეტესობის საბუთები აბსოლიტურად ლეგალური იყო, თუმცა ისინი მაინც მოხვდნენ დეპორტაციის ტალღაში. ეს ყოველივე კი ნათლად მიუთითებს ამ ღონისძიების პოლიტიკურ მხარეზე. ამასთან ერთად, კიდევ სხვა საკითხია ის ფორმები - თუ როგორ ხდებოდა ქართველთა გამოძევა. უფრო მეტი დამცირებისთვის ქართველებს სვამდნენ უზარმაზარ სატვირთო თვითმფრინავებში და ისე ატოვებინებდნენ რუსეთის საზღვრებს²⁶. ამ კამპანიის დროს, დაიღუპა 2 ქართველი, რომელთაც უარი ეთქვათ შესაბამის სამედიცინო დახმარებაზე, მათი ეროვნული ნიშნიდან გამომდინარე (HRW, იქვე, 46, 57). სწორედ ამგვარი არაადამიანური მოპყრობის გამო, რითაც უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებები, 2014 წლის ივლისში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებით რუსეთს კომპენსაციის გადახდა დაეკისრა ქართველების მასობრივი დაპორტაციის საქმეზე (Bukia, 7 July, 2014).

გარდა ამისა, რუსეთმა საქართველოსთან გაწყვიტა ყოველგვარი სატრანსპორტო და საფოსტო კავშირები, გამკაცრდა სავიზო რეჟიმი და შეწყდა ფულადი გზავნილების გადმორიცხვაც (Коммерсант, 3 октября, 2006). ლავროვის განცხადებით ამის მიზეზი იყო საქართველოში არალეგალური ფულადი ტრანსფერების შეჩერება რუსეთში მცხოვრები ქართველების მხრიდან, რაც მისივე თქმით, საქართველოს სამხედრო აღმშენებლობას ხმარდებოდა (Myers, October 4, 2006). უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მხარის მიერ

²⁵ როგორც წესი, რეიდების დროს ხდებოდა მათი სოლიდური დაჯარიმებაც.

²⁶ არ აწვდიდნენ საკვებს და წყალს.

დაჭერილი რუსი ჯაშუშების განთავისუფლება მალევე მოხდა, თუმცა რუსეთი მაინც განაგრძობდა შეზღუდვების დაწესებას, რადგან მისი მთავარი მიზანი დასავლური მისწრაფებების გამო საქართველოს დასჯა იყო და ამ ნაბიჯებით ცდილობდა საქართველოს ეკონომიკაზე დარტყმის მაქსიმიზაცია მოეხდინა.

რუსეთის მიერ გატარებული ყოველივე ამ ღონისძიებების შედეგად საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი იყო (და დღემდეც არის) პირველი ქვეყანა ფულადი გზავნილების მიხედვით, მიყენებული ეკონომიკური ზიანის წარმოდგენა უფრო იოლი იქნება (იხ. დანართი 6. A. B.). რუსული „კომერსანტის“ ცნობით, ოფიციალური მონაცემებით, 2005 წელს რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული თანხა \$350 მილიონ დოლარს შეადგენდა, (ხოლო არაოფიციალური გზებით განხორციელებულ გზავნილებად 3-ჯერ მეტი თანხა სახელდება) რაც საქართველოს იმდროინდელი მშპ-ის 6%-ს უტოლდებოდა. (Коммерсант, 3 октября, 2006). დაწესებული სანქციების შემდეგ ხსენებული გადმორიცხვები საგრძნობლად შემცირდა, რამაც თავის მხრივ ნეგატიური ასახვა ჰპოვა საქართველოს ეკონომიკაზე და კიდევ ერთი იძულების ბერკეტი შექმნა რუსეთის სასარგებლოდ. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის ეს ქმედებებიც პოლიტიკურად უსარგებლო აღმოჩნდა. ამ სანქციების შემდეგ საქართველომ საკუთარი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების დასაცავად, უფრო მეტად დაინახა როგორც NATO-ს „უსაფრთხოების ქოლგის“ ქვეშ შესვლის, ისე ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობა და კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა ამ მიმართულებით საგარეო ასპარეზზე. 2006 წლის შემდეგ,²⁷ უცხოეთში დასაქმების მოსურნე ქართველების უმეტესობაც უკვე სხვა მეზობლების (განსაკუთრებით თურქეთის²⁸) და ევროკავშირის ქვეყნებში²⁹ წასვლაზე აკეთებდა არჩევანს, რამაც უმეტესად რუსეთისკენ მიგრაციის ტენდენცია მნიშვნელოვნად შეცვალა (Labadze, Tukhashvili, 2012, 28). ამის გამო შემცირდა საერთო გადმორიცხვებში რუსეთის წილი, თუმცა სამაგიეროდ იზრდება სხვა ქვეყნების წილი ამ კუთხით (Tabula, April 14, 2017).

²⁷ და განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ

²⁸ ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი თურქეთთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებამ 2006 წლიდან.

²⁹ საბერძნეთი, იტალია, გერმანია გამოირჩევიან ამ მხრივ

6. ინდოეთი ნეპალის წინააღმდეგ (ისტორიული რაკურსი)

ნეპალი არის პატარა ჩაკეტილი³⁰ სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს სამხრეთ აზიაში ინდოეთსა და ჩინეთს შორის. მისი მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 31 მლნ. კაცს.³¹ სამი მხრიდან - დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ინდოეთი, რომელთან საზღვარიც 1770 კილომეტრს უდრის და რომელიც მთლიანად ვაკეზე გადის. ხოლო ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ჩინეთი, რომელთან საზღვარიც 1389 კილომეტრია და რომელიც რელიეფურად ძალიან რთულ ზოლს - ჰიმალაის მთათა სისტემას მიუყვება (CIA.gov). მისი მდებარეობის გამო ნეპალს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ინდეთით-ჩაკეტილ ქვეყანას. გეოგრაფიული, სოციო-კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით იგი ძალიან ახლოს დგას ინდოეთთან, თუმცა ამის მიუხედავად მათი ურთიერთობები, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბევრი სირთულით ხასიათდებოდა.

მე-18 საუკუნემდე ნეპალი არ წარმოადგენდა, ინდოეთის ნახევარკუნძულისგან განყენებულ ტერიტორიულ ერთეულს. მისი, როგორც განცალკევებული ერთეულის კონცეფცია დაიბადა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1768 წელს პრიტვი ნარიან შაკმა აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი გააერთიანა ბრიტანელების წინააღმდეგ და სათავე დაუდო გორხას³² სამეფოს. ამ სამეფოს სტრატეგია თავიდანვე აქტიურ თავდაცვას ეფუძნებოდა და მაქსიმალურად ცდილობდა სამხრეთით განვრცობას. შესაბამისად, მე-19 საუკუნის დასაწყისში გორხას სამეფოს ხშირი კონფლიქტები ჰქონდა ბრიტანულ აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიასთან სამხრეთით მდებარე ვაკე ტერიტორიების - ე.წ. ტარაის³³ გამო, რომელიც მათ შორის ომის მიზეზიც გახდა 1814-1816 წლებში. ბრძოლა ბრიტანელების გამარჯვებით დამთავრდა და 1816 წელს ხელი მოეწერა საგაულის ხელშეკრულებას, რითაც ნეპალს (გორხას სამეფოს) დიდ

³⁰ მას არ აქვს ზღვაზე გასასვლელი

³¹ 2015 წლის მონაცემებით, ხოლო 1989-1990 წლებში ნეპალის მოსახლეობა 18 მილიონი იყო.

³² ასე ეწოდებოდა ნეპალს მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე

³³ ნეპალის ტერიტორია ეკოლოგიურ-კულტურული თვალსაზრისით 3 ზონად იყოფა, ესენია: მაღალი მთების ზონა (ჩრდილოეთის ზოლზე), ამაღლებული გორაკები/hills (ცენტრალურ ნაწილში) და ტარაი, იგივე ვაკეები და დაბლობები (ნეპალის სამხრეთ ნაწილის გასწვრივ). სწორედ ტერაიში ცხოვრობს ნეპალის მოსახლეობის 50%-ი (SAHR, 2016, pp. 5-6)

დათმობებზე წასვლა მოუწია, დაუწესდა შეზღუდვები³⁴ და დაკარგა ტერიტორიის 1/3-იც (მათ შორის სიკკიმიც³⁵). აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულების მერე ნეპალს არავისთან აღარ უომია. 1846 წლიდან ქვეყანას რანას დინასტია მართავდა, რომელ პერიოდშიც ნეპალის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია ბრიტანულ ინდოეთთან *სპეციალურ ურთიერთობებზე*, დანარჩენ სამყაროსთან კი იზოლაციონიზმზე იყო აგებული. რანას დინასტიის დროს კარგად გამოჩნდა თუ, რა პოლიტიკას ატარებდა ბრიტანული ინდოეთი ნეპალის მიმართ. კერძოდ, ის, რომ ნეპალს ნაკლებად ჰქონდა საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის სფეროში თავისუფლი მანევრირების საშუალება და ფაქტიურად ბრიტანული ინდოეთის ცალმხრივი ბუფერის როლს ასრულებდა ჩრდილოეთიდან მოსაზღვრე მეზობლის მიმართ. 1923 წელს თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო, რადგან ბრიტანეთსა და ნეპალს შორის, ამ წელს დადებული ხელშეკრულებით საგაულის შეზღუდვები გაუქმდა და ბრიტანეთმა ცნო ნეპალის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი³⁶ (Lecomte-Tilouine, March, 2017). მე-18 საუკუნის შემდეგ ზემოთხსენებულმა ისტორიულმა დაპირისპირებებმა ბრიტანულ ინდოეთთან, (აგრეთვე იმანაც, რომ ბრიტანეთმა ინდოეთზე ადრე ცნო მისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი) ნეპალს კიდევ უფრო განუმტკიცა საკუთარი თვითმყოფადობის და ინდოეთისგან განცალკევებულობის განცდა, რის გამოც ბევრად არაფერი შეცვლილა ინდოეთ-ნეპალის ურთიერთობებში არც 1947 წლის შემდეგაც, როდესაც ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

პოსტკოლონიურ პერიოდშიც იგივე პოლიტიკური მიდგომა შენარჩუნდა ნეპალის მიმართ, რაც მანამდე იყო. ინდოეთისთვის წმინდა გეოგრაფიული კონტექსტიდან გამომდინარე ნეპალი თამაშობდა ერთგვარი ბარიერის როლს ჩრდილოეთიდან შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ. ამის გამო ინდოეთის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინტერესებში ყოველთვის შედიოდა ის, რომ ნეპალში ანტი-ინდური ხელისუფლება არ დამყარებულიყო და იგი არ ყოფილიყო მოწყვლადი გარეშე ძალების მიერ დაპყრობისა

³⁴ იქმნებოდა ბრიტანული წარმომადგენლობა კატმანდუში, ინგლისელებს ნეპალელების სამხედრო სამსახურში რეკრუტირების უფლებას აძლევდა და ნეპალს ეკრძალებოდა სხვა ქვეყნის სამხედრო პირების დაქირავება საკუთარი არმიის გასაწვრთნელად.

³⁵ ტერიტორიული ერთეული ნეპალის აღმოსავლეთ საზღვართან, რომელიც დღეს ინდოეთის ერთერთი შტატია.

³⁶ თუმცა ნეპალის საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის სფეროებზე გავლენა მაინც შენარჩუნდა

და კონტროლისთვის, რაც ინდოეთის ტერიტორიებსაც გარდაუვლად შეუქმნოდა საფრთხეს. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი, როგორც ბრიტანული ინდოეთის, ისე დამოუკიდებელი ინდოეთის მიერ ე.წ. „დიდი ძმის დამოკიდებულების“ (big brother attitudes) ჩამოყალიბებას ნეპალის მიმართ (SAHR, 2016, p. 15). საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევის მიზნით, პოსტკოლონიურმა ინდოეთმა მრავალი ორმხრივი ხელშეკრულება გააფორმა ნეპალთან, რომელთაგანაც ზოგი წყლის რესურსების მენეჯმენტს ეხებოდა, ზოგიც კი თანამშრომლობის გადრმავებაზე იყო ორიენტირებული (Basnet, Sep. 3, 2012). მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1950 წელს გაფორმებული *მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულება*, რითაც მხარეები თანხმდებოდნენ ეთანამშრომლათ უსაფრთხოების საკითხებში - გაეცვალათ ინფორმაცია რომელიმე მეზობელთან სერიოზული უთანხმოებისა და გაუგებრობის თაობაზე, რასაც შესაძლოა საფრთხე შეექმნა ორი ქვეყნის ურთიერთობისთვის. აგრეთვე ხელი მოეწერა *სავაჭრო ხელშეკრულებასაც*, რაც ნეპალს უფლებას აძლევდა გამოეყენებინა ინდოეთის ტერიტორია სატრანზიტო კორიდორად კალკუტის საზღვაო პორტამდე, საიდანაც ეს უკანასკნელი შეძლებდა ვაჭრობას სხვა სახელმწიფოებთან³⁷. გარდა ამისა, ამ ხელშეკრულებით გაიხსნა ინდოეთ ნეპალის საზღვარი (ამოქმედდა უვიზო რეჟიმი), და ორივე ქვეყნის მოქალაქეებს მიეცათ უფლება ემუშავათ და ეცხოვრათ ან ერთ ან მეორე ქვეყანაში (MASUM, Dec. 2015, p. 10). აღნიშნავია, რომ 1950 წელს მოხდა ჩინეთის მიერ ტიბეტის ინტერვენციაც და ინდოეთის მიერ აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება რანას რეჟიმთან³⁸, ისევე როგორც თავდაცვის ხელშეკრულებების დადება, ბუტანთან (1949 წლის აგვისტოში) და სიკკიმთან (1950 წლის დეკემბერში) იყო ჰიმალაის რეგიონში ინდოეთის უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად გადადგმული ნაბიჯი. ტიბეტის ფაქტორით, ჩინეთის ინტერესების გაჩენა ნეპალში, ნათლად მიუთითებდა თვისებრივად ახალი გეოპოლიტიკური ვითარების ჩამოყალიბებაზე რეგიონში (Kumar, 2011, 77-79).

ინდოეთ-ნეპალის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა 1960-იანი წლებიდან, როდესაც მეფე მაჰენდრამ ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა, პარლამენტი

³⁷ მათ შორის, ნებადართული იყო სამხედრო აღჭურვილობის შეძენაც.

³⁸ რანას დინასტია 1951 წელს დაემხო და ნეპალში მრავალპარტიული დემოკრატია დამყარდა, ფორმალური მონარქიულობის შენარჩუნებით. 1960 წელს კი ისევ მონარქიამ იმძლავრა

დაშალა, კაბინეტი დაითხოვა, პოლიტიკური პარტიებიც აკრძალა და სათავე დაუდო ერთპარტიულ პანჩაიატის სისტემას (SAHR, 2016, p. 8). მაჰენდრამ პრო-ჩინური პოლიტიკის გატარება დაიწყო და შეეცადა ინდოეთზე დამოკიდებულება შეესუსტებინა ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებით. მან კარგად გამოიყენა ნეპალში არსებული ანტი-ინდური სენტიმენტები წარშულში ორმხრივი ხელშეკრულების დადების გამო, რაც არათანასწორუფლებიან შეთანხმებებად იყო აღქმული და ბევრი მოთხოვნა წაუყენა ინდოეთს ამ კუთხით. ვითარება მნიშვნელოვნად დაიძაბა 1969 წელს, როდესაც ნეპალმა მოითხოვა მთელი რიგი ხელშეკრულებების გადახედვა. მაჰენდარა ითხოვდა ნეპალში არსებული ინდური უსაფრთხოების პუნქტების (security chek-posts) მოხსნას, 1950 წელს დადებული *მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულების* გაუქმებას და ვაჭრობისა და სატრანზიტო ხელშეკრულებების ერთმანეთისგან გამიჯვნას. 1978 წლისთვის ინდოეთმა მართლაც გააუქმა საკუთარი უსაფრთხოების პუნქტები ნეპალში და დათანხმდა ვაჭრობისა და სატრანზიტო ხელშეკრულებების ცალ-ცალკე დადებასაც, თუმცა სხვა დათმობებზე აღარ წასულა (Basnet, Sep. 3, 2012). გარდა ამისა, 80-იანი წლებიდან სათავე დაედო ორ ქვეყანას შორის ტერიტორიულ დისპუტსაც. კერძოდ, 1981 წელს შეიქმნა ნეპალ-ინდოეთის ერთობლივი სასაზღვრო კომიტეტი, რომელსაც ზუსტად უნდა დაედგინა ქვეყნებს შორის საზღვარი. კომიტეტმა საზღვრის თითქმის 97%-ი წარმატებით მონიშნა, ხოლო 3%-ი (კალაპანისა და სუსტას ტერიტორიები) დღემდე დავის საგანს წარმოადგენს (Groves, September 22, 2014). ყოველივე ამის შედეგად, 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც ინდოეთმა ნეპალის „აზრზე მოყვანა“ გადაწყვიტა პოლიტიკური ტემპერატურა მათ შორის საკმაოდ მაღალ ნიშნულზე იყო.

ამ ორი ქვეყნის სოციო-კულტურული, თუ გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, მათი ურთიერთობების მთელი ისტორიიდან გამომდინარე, ცალსახად არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ისინი მეგობარი სახელმწიფოები იყვნენ. ნეპალი ყოველთვის აცნობიერებდა ინდოეთზე ასიმეტრიული დამოკიდებულების პრობლემას და ეძებდა გზებს ამ ვითარების შესაცვლელად. როდესაც მას ამის შანსი მიეცა ჩინეთის გამეზობლების სახით, ის შეეცადა ამ შანსის გამოყენებას. სწორედ ამ მცდელობამ და პანჩაიატის რეჟიმის პრო-ჩინურმა პოლიტიკამ, უაღესად გაზარდა კონფლიქტის მოლოდინი მათ შორის. შესაბამისად, როდესაც ნეპალმა 80-იანი წლების ბოლოს

ჩინეთისგან სამხედრო აღჭურვილობის შეძენა გადაწყვიტა, ინდოეთმა ეს ნაბიჯი უკვე აღარ აპატია და დასჯის მიზნით ხანგრძლივ ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცია, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

6.1 ნეპალის ეკონომიკური ბლოკადა (1989-1990 წლები)

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, პანჩაიატის რეჟიმის საგარეო პოლიტიკური კურსი აბსოლიტურად წინააღმდეგობაში მოდიოდა ინდოეთის ინტერესებთან და ყველასთვის ნათელი იყო, რომ ინდოეთი ასე იოლად არ დაუშვებდა ნეპალის მისი გავლენის სფეროდან გასვლას. გარდამტეხი ეტაპი დადგა 1988 წლის ივნისში როდესაც ნეპალმა, დაიწყო სამხედრო კავშირების გაღრმავება ჩინეთთან. საქმე ეხებოდა 20 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობის შეძენას ჩინეთიდან. აღნიშნული პაკეტი მოიცავდა მსუბუქ იარაღს, საბრძოლო მასალას, ჯარისკაცების ფეხსაცმელებსა და უნიფორმებს და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან - 16 საზენიტო იარაღს³⁹ (antiaircraft guns), რომელიც ტიბეტის მხრიდან, უნდა შესულიყო ნეპალში (Garver, October 1991, 960-961). გარდა ამისა, ინდოეთის უკმაყოფილებას იწვევდა სხვა ფაქტორებიც, კერძოდ ნეპალმა 50%-ით გაზარდა საბაჟო გადასახადი ინდური საქონლისთვის, როდესაც ჩინეთს იგივე გადასახადი 10%-ით შეუმცირა, რაც ჯამში ჩინურ პროდუქტს 60%-ით უფრო მომგებიან სატარიფო ვითარებაში აყენებდა. ამასთან 1989 წლისთვის დაწესებული რეგულაციების მიხედვით ნეპალში მომუშავე უცხოელებისთვის (მათ შორის იქ მომუშავე 150 000 ინდოელისთვისაც) მუშაობის უფლებაზე ნებართვის აღება სავალდებულო გახდა (Singh, April 15, 1989). ყოველივე ამან და განსაკუთრებით ჩინეთიდან სამხედრო აღჭურვილობის შეძენის ფაქტორმა, საბოლოოდ გადაკვეთა ინდოეთის „წითელი ხაზები“, რომელმაც აღნიშნული ქმედებებისთვის ნეპალის მკაცრად დასჯა გადაწყვიტა.

ნეპალის ქმედებებზე საპასუხოდ ინდურმა მხარემ უარი განაცხადა 1978 წელს დადებული სავაჭრო და სატრანზიტო ხელშეკრულებების გახანგრძლივებაზე,

³⁹ აღსანიშნავია, რომ ჩინეთთან შეთანხმებამდე ნეპალმა რამდენჯერმე სცადა იგივე სახის იარაღის შეძენა ინდოეთიდან, თუმცა უარი მიიღო. დელი აცხადებდა რომ ნეპალს არ სჭირდებოდა ეს იარაღი (Graver, იქვე, 960)

რომელთა მოქმედებაც 1989 წლის 23 მარტს შეაჩერა⁴⁰. ამ გადაწყვეტილებით ორ ქვეყანას შორის მანამდე არსებული ეკონომიკური კავშირები, როგორც სავაჭრო ისე სატრანზიტო ასპექტებში სრულად იქნა შეჩერებული. ინდოეთმა 21 სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან 2-ის გარდა⁴¹ ყველა დახურა, რის შედეგადაც ნეპალს შეუწყდა მთელი რიგი აუცილებელი პროდუქტების მიწოდება ინდოეთიდან. სრულად შეჩერდა ნეპალის წვდომა კალკუტის საზღვაო პორტზეც, რითაც ეს უკანასკნელი, ჩინეთის გარდა, ყველასგან იზოლირებული აღმოჩნდა. გარდა ამისა ინდოეთი აღარც სავაჭრო კრედიტებს აღარ აძლევდა ნეპალს (Crossette, April 11, 1989). ყოველივე ამის შემდეგ, მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა საშინელი ეკონომიკური ბლოკადის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც 15 თვის მანძილზე გრძელდებოდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ინდოეთი წარმოადგენდა ნეპალის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს და მასთან ღია საზღვრის არსებობა ამ უკანასკნელისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, აღნიშნულმა შეზღუდვებმა წარმოუდგენელი ზარალი მიაყენა ნეპალის ეკონომიკას. ნეპალს, როგორც აგრარული ეკონომიკის მქონე ქვეყნას საკუთარი სოფლის მეურნეობის ექსპორტის უდიდესი ნაწილი ინდოეთში გაჰქონდა. 1989/1990 წლები კი ამ მხრივ სრული კატასტროფა იყო (იხ. დანართი 7). რაც შეეხება ექსპორტ/იმპორტში ინდოეთის წილს, 1988 წლის მონაცემებით ნეპალის ექსპორტის 38%-ი, ხოლო იმპორტის 36%-ი მხოლოდ ინდოეთზე მოდიოდა (იხ. დანართი 8). ინდოეთი იყო მთავარი მიმწოდებელი ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების როგორიცაა: ქვანახშირი, ცემენტი, მანქანა დანადგარები, სათადარიგო ნაწილები, მანქანები და სხვა... გარდა ამისა, რადგან ნეპალი ჩაკეტილი ქვეყანა იყო და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაც ინდოეთის სატრანზიტო კორიდორზე იყო დამოკიდებული, (მისი ვაჭრობის 90%-ზე მეტი ინდოეთის გავლით ხორციელდებოდა) ნეპალი სრული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სანქციების დაწესებიდან სულ ცოტა ხანში, ზემოთ ნახსენები პროდუქტების გარდა, ნეპალი სერიოზულ დეფიციტს განიცდიდა საკვებ

⁴⁰ ინდური მხარე კატეგორიულად მოითხოვდა 1978 წლამდე არსებული ვითარების აღდგენას, (როდესაც სავაჭრო და სატრანზიტო ხელშეკრულება ერთიანი შეთანხმების სახით არსებობდა) იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა ნეპალის მიერ სხვა ქვეყნებთან წამოწყებული ნებისმიერი სავაჭრო ტრანსფერის განხორციელებისთვის, რაც მის ინტერესებში არ შედიოდა. ნეპალისთვის მიუღებელი იყო ეს მოთხოვნა.

⁴¹ ამ 2 ღია პუნქტით ხდებოდა მხოლოდ ახალშობილთა საკვებისა და განსაზღვრული რაოდენობის მედიკამენტების მიწოდება.

პროდუქტებზე (შაქარზე, ბრინჯზე მარილზე, ახალშობილთა საკვებზე...), მედიკამენტებზე და ნავთობპროდუქტებზე (როგორცაა ბენზინი, და ნავთი (kerosene⁴²)). საწვავის არარსებობის გამო, სრულად იყო პარალიზებული სატრანსპორტო სისტემა, შეჩერდა ინფრასტრუქტურული პროექტებიც. გარდა ამისა სერიოზული დარტყმა მიაღწა ნეპალის ტურისტულ ინდუსტრიას, საგრძნობლად შემცირდა ინდოელი ტურისტების რაოდენობა, რითაც, ისედაც საგარეო გრანტებსა და სესხებზე დამოკიდებულმა ქვეყანამ⁴³, უცხოური ვალუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო დაკარგა. (თუ გავითვალისწინებთ, ნეპალის საშინლად უარყოფით სავაჭრო ბალანსს როგორც ინდოეთთან, ისე ზოგადად (იხ. დანართი 9. A. B.) იოლი მისახვედრი იქნება თუ რატომ იყო ქვეყანა ასე ძალიან დამოკიდებული საგარეო გრანტებსა და სესხებზე). როგორც ნეპალის ფინანსთა მინისტრის მიერ ივლისში მომზადებულ მოხსენებაში იყო ნათქვამი, ინდოეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ, უკვე 4 თვეში, ქვეყნის მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 5.3%-იდან 1.5%-მდე შეამცირა, ხოლო ინფლაციის დონე ზოგიერთ შემთხვევაში 25%-საც აჭარბებდა (Blanchard, Ripsman, 2013, 100-101; Sengupta, May 15, 1989; Koirala, 1990, 140-142).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ინდოეთის სანქციებით მიყენებული ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ ის თითქმის უტოლდებოდა ინდოეთის მოთხოვნებზე დამორჩილებით მიღებულ პოლიტიკურ ზარალს. თუმცა ნეპალი, მიუხედავად ამისა მაინც ცდილობდა სანქციებისთვის გაემლო და კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაეყენებინა საკუთარი უსაფრთხოება, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. სწორედ ამ მიზნით, ინდური სანქციების დარტყმის შესარბილებლად, ნეპალმა დაიწყო აქტიურობა საერთაშორისო დონეზე. მეფე ბირენდრა ვიზიტებს ვიზიტებზე მართავდა სხვა ქვეყნების დელეგაციებთან და ცდილობდა ნებისმიერი საერთაშორისო ფორმატის გამოყენებას, რათა ხაზი გაესვა ჩაკეტილი ქვეყნის სატრანზიტო უფლებებისათვის. 1989 წლის სექტემბერში ის იმყოფებოდა მიუმხრობლობის მოძრაობის სამიტზე ბელგრადში.

⁴² ნავთის ქურები ძალიან ფართოდ გამოიყენებოდა იმ დროისთვის ნეპალში და მისი დეფიციტის პირობებში ხალხმა ხეების გაჩეხვა დაიწყო, რადგან სხვაგვარად ვერ ახერხებდნენ საკვების მომზადებას (Crossette, November 15, 1989)

⁴³ უცხოური ვალუტას ნეპალი ძირითადად ტურიზმით გამოიმუშავებდა, დანარჩენი კი (უდიდესი ნაწილი, რაც მშპ-ის 20%-ს შეადგენდა) ქვეყანაში შედიოდა უცხოური გრანტებისა და სესხების სახით (Hazarika, May 7, 1990)

წლის ბოლომდე კი მოიარა მთელი რიგი ქვეყნები მათ შორის: ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, საფრანგეთი, დანია, როდეზია. დაესწრო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის 44-ე ყოველწლიურ სამიტს ვაშინგტონში. ყველა აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო ერთადერთი - მოეძიებინა რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური თუ ფულადი დახმარება გრანტებისა და სესხების სახით, თუმცა ამ კუთხით ნეპალმა მხოლოდ მიზერული დახმარების მიღება შეძლო (Koirala, 1990, 139-140). გარდა გრანტების მოძიების მცდელობისა ნეპალი, მუშაობდა ალტერნატიული სავაჭრო გზების გამონახვაზე. ამ მხრივ კატმანდუმ შეძლო რამდენიმე აზიის სახელმწიფოსთან მათ შორის (სინგაპურთან, ტაილანდთან, ჰონგკონგთან, ბანგლადეშთან) სავაჭრო კავშირების დამყარება საჰაერო გზით, თუმცა ეს ბუნებრივია, არ განიხილებოდა გამოსავლად და მიჩნეული იყო მხოლოდ დროებით ზომად, რადგან ამ გზით მიღებული პროდუქტები გაცილებით ძვირი იყო ვიდრე ინდოეთიდან იმპორტირებული საქონლის ფასი. (Crossette, November 15, 1989).

რაც შეეხება ჩინეთს, რომელიც ერთადერთ და ყველაზე უფრო რეალისტურ⁴⁴ ალტერნატივად ჩანდა, მისი დახმარება ნეპალისადმი არ აღმოჩნდა საკმარისი (რის მიზეზებზეც ქვემოთ ვისაუბრებ). ჩინეთმა კრიზისის პირველ თვეს სულ 600 ტონა ნავთობპროდუქტები მიაწოდა ნეპალს(აქედან 300 საჰაერო გზით, ხოლო 300-იც სახმელეთო გზით). 1989 წლის აპრილშივე გაფორმებული ხელშეკრულებით დაიწყო ჩინეთიდან საკვებისა და საწვავის მიწოდება, თუცა ამ გზით ნეპალში ჩასული პროდუქტები, ტრანსპორტირების ხარჯის გამო მაინც გაცილებით ძვირი იყო. გარდა ამისა, ჩინეთი ნეპალს უფასოდ აწვდიდა მარილს და გამოუყო მრავალმილიონიანი გრანტიც, რომელიც ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და უკვე არსებულის შეკეთებას უნდა მოხმარებოდა. პოლიტიკური მხარდაჭერას რაც შეეხება, ჩრდილოელი მეზობელი აქაც მხოლოდ ინდოეთის რბილი კრიტიკით შემოიფარგლებოდა. ჩინეთის როგორც ფაქტობრივ, ისე პოლიტიკურ დახმარებაზე ნეპალის მიმართ რამდენიმე შემზღუდავი ფაქტორი მოქმედებდა. პირველ რიგში ეს იყო პრიმიტიული სატრანსპორტო სისტემა, რაც იმ დროს არსებობდა ტიბეტსა და ნეპალს

⁴⁴ იმ უბრალო მიზეზის გამო რომ ნეპალს მხოლოდ მასთან ჰქონდა სახმელეთო საზღვარი ინდოეთის გარდა.

შორის (რაც პირველ რიგში განპირობებული იყო მათ შორის არსებული საზღვრის უაღრესად რთული რელიეფით). 1960-იან წლებში აგებული გზატკეცილი,⁴⁵ რომელიც ჩინეთ-ნეპალის მეგობრობის სიმბოლოდ ითვლებოდა და ფაქტიურად ერთადერთ⁴⁶ ძირითად სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენდა, 1989 წლისთვის ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. მისი შეკეთება და ახალი გზების მშენებლობა ძალიან შორეული⁴⁷ პერსპექტივა იყო, ამიტომ რთული რელიეფი და ინფრასტრუქტურის არარსებობა რათქმუნდა აფერხებდა ჩინეთის დახმარებას. გარდა ამისა, ჩინეთის მოკრძალებული პოლიტიკური მხარდაჭერის მიზეზი იყო მისი სისუსტე იმ ხანად. კერძოდ, ნეპალის ბლოკადა დაემთხვა სტუდენტური საპროტესტო ტალღის პერიოდს პეკინში, ტიანანმენის მოედანზე და ეს ნამდვილად იყო ის ფაქტორი, რაც ჩინეთს ნეპალზე კონცენტრირების საშუალებას არ აძლევდა. ამავე დროს, რადგან 1989 წელს, მას დასავლეთის ქვეყნებთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა,⁴⁸ პეკინის მთავარი სტრატეგია მესამე სამყაროს ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება გახდა და ამ მიზნით ინდოეთთან პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნება აუცილებლობას წარმოადგენდა. შესაბამისად, ყველაფერთან ერთად, რეგიონში აღნიშნული გარემოებებით შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებაც ნეპალის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა (Garver, 1991, 964-969; Sengupta, May 15, 1989). ამ ყოველივემ კი ნეპალის წინააღმდეგობის გატეხვა მხოლოდ დროის ფაქტორად აცია.

მართლაც, სანქციების შედეგად ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურმა ვითარებამ მასების უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც საზოგადოებაში არსებული პროდემოკრატიული მუხტი კიდევ უფრო გააღვივა და ოპოზიციური ძალები გააძლიერა. საბოლოოდ, 1990 წლის აპრილისთვის მეფის ხელისუფლებამ საპროტესტო ტალღას ვედარ გაუძლო და ოპოზიციამ (რომელსაც ინდოეთი დიდი ხანია მხარს უჭერდა) აიძულა მეფე, გადაეღვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სისტემის

⁴⁵ კატმანდუს აკავშირებდა კოდართან (ტიბეტში)

⁴⁶ მართალია 1984 წელს ჩინეთმა დაიწყო მეორე ძირითადი გზატკეცილის მშენებლობა ტიბეტსა და ნეპალს შორის, თუმცა ეს გზა არ ფუნქციონირებდა ინდური სანქციების დროს.

⁴⁷ რადგან მსოფლიოს ამ ნაწილში გზების მშენებლობა წარმოუდგენლად დიდ სირთულეებთან, დიდ ხიფათთან და დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

⁴⁸ რისი მიზეზიც ხელისუფლების მიერ ტიანანმენის მოედანზე შეკრებილთა სასტიკი ხოცვა-ჟლეტა იყო და რის გამოც აშშ-მ სანქციებიც კი დაუწესა ჩინეთს.

დემოკრატიზაციისაკენ. მან მოხსნა აკრძალვა პოლიტიკურ პარტიებზე, დაითხოვა მინისტრათა საბჭო და ეროვნული პანჩაიატი, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კონსტიტუციაშიც და ყოველივე ამის შედეგად ნეპალში დამყარდა კონსტიტუციური მონარქია, მრავალპარტიული დემოკრატია. ხელისუფლებაში მოვიდნენ პროდემოკრატიული ძალები, რომლებიც ინდოეთს საფრთხედ არ აღიქვამდნენ. მათ მოხერხებულად გამოიყენეს ინდოეთთან ურთიერთობების დალაგების რიტორიკა, რითაც მასების აყოლიება იოლად მოახერხეს და მოვიდნენ კიდევ ხელისუფლებაში 1990 წლის აპრილში (Koirala, 1991, 134-137). ახალმა ხელისუფლებამ პრემიერ მინისტრ ბატარაის მეთაურობით, სრულად გაითვალისწინა ინდოეთის მოთხოვნები და უკვე 1990 წლის ივნისიდან, 1989 წლის მარტამდე არსებული სტატუს-ქვო აღდგა. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთმა ცალ-ცალკე გაუფორმა ნეპალს სავაჭრო და სატრანზიტო ხელშეკრულება⁴⁹, ის სრულად კმაყოფილი იყო იმით, რომ ნეპალმა მისი მოთხოვნები ყველა ასპექტში დააკმაყოფილა. რაც ყველაზე მთავარი იყო გაწყვიტა სამხედრო კავშირები ჩინეთთან, გააუქმა არსებული ტრანსფერი და ინდოეთის უსაფრთხოების ინტერესები გაითვალისწინა. „*მხარეები შეთანხმდნენ რომ პატივი ეცათ ერთმანეთის უსაფრთხოების გამოწვევებისთვის და საკუთარ ტერიტორიაზე არ დაეშვათ ისეთი აქტივობები, რაც მეორე მხარის ინტერესებს ზიანს მიაყენებდა*“ (Koirala, იქვე, 138) შესაბამისად, ამ ქეისში ეკონომიკურმა სანქციებმა სრულად იმუშავა, და სამიზნემ მაღალი პოლიტიკის საკითხშიც მთლიანად დაუთმო მაიმულებელს.

7. ქეისების შეფასება თეორიულ ჭრილში (შედარებითი ანალიზი)

ზემოთ განხილულ ორივე ქეისში, მაიმულებლისა და სამიზნის ისტორიული და სანქციების დაწესების მომენტში, მიმდინარე ურთიერთობების გაანალიზების შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ კონფლიქტის მოლოდინი დაპირისპირებულ მხარეთა შორის იყო მაღალი. კერძოდ, ორივეგან სახეზე იყო დიდი ხნის დროინდელი ისტორიული ნარატივის შეცვლისა და ძლიერი მეზობლის გავლენის სფეროდან თავდაღწევის მცდელობის ფაქტი. აქედან გამომდინარე ორივე შემთხვევაში საქმე ეხებოდა მაღალი

⁴⁹ რასაც მანამდე არ თანხმდებოდა

პოლიტიკის საკითხებს - ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს, და ორივე სამიზნე აცნობიერებდა თუ რამხელა დარტყმის ქვეშ დადგებოდა მათი უსაფრთხოება დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი დათმობის შემთხვევაში. გარდა ამისა სამიზნეთა მჭიდრო ეკონომიკური კავშირები და მაიძულებელზე ასიმეტრიული დამოკიდებულება მიუთითებდა იმაზე, რომ სანქციების ფასში იყო დიდი სხვაობა დამწესებლებსა და სამიზნეებს შორის. ანუ სანქციების ჩიხური ვითარებიდან თავდაღწევის ფასი გაცილებით მაღალი იყო სამიზნეებისთვის (შესაბამისად, საქართველოსა და ნეპალისთვის) ვიდრე ინიციატორებისთვის (რუსეთისა და ინდოეთისთვის), რომლებსაც ბევრი არაფერი აკლდებოდათ პატარა მეზობლებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტით. შესაბამისად, ამ მოცემულობების გათვალისწინებით, დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელის მიხედვით უნდა გვევარაუდა, რომ თითოეულ ქეისში სამიზნეები მაქსიმალურად შეეცდებოდნენ არაფერი დაეთმოთ დამწესებლებისთვის. უფრო კონკრეტულად, საქართველოს შემთხვევაში შეიძლება გვევარაუდა, რომ ეს უკანასკნელი ან ზომიერ ან საერთოდაც უმნიშვნელო⁵⁰ დათმობებზე წავიდოდა მაიძულებელთან მიმართებაში. ხოლო მეორე ქეისში მხოლოდ ზომიერი⁵¹ დათმობების მოლოდინი უნდა გვექონოდა ნეპალის მხრიდან, რადგან კონფლიქტის მაღალი მოლოდინის პარალელურად უაღრესად დიდი იყო სხვაობა მოდავეებს შორის სანქციების ფასშიც.

როგორც ვნახეთ დრეზნერი მართალი აღმოჩნდა რუსეთ-საქართველოს შორის 2006-2007 წლებში განხორციელებული ეკონომიკური იძულების შედეგების პროგნოზირებაში და საქართველომ მართლაც არაფერი დაუთმო მაიძულებლს. ის დარჩა აღებული საგარეო პოლიტიკური კურსის ერთგული და არც ერთ ეტაპზე არ შეუწყვეტია დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ძალისხმევა. ამის ნათელი გამოხატულება იყო 2008 წლის აპრილში გამართული NATO-ს ბუქარესტის სამიტი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატოს

⁵⁰ გამომდინარე იქიდან თუ როგორ შევაფასებდით ამ პერიოდში საქართველოსთვის რუსული სანქციების ჩიხური ვითარებიდან თავდაღწევის ფასს. ანუ ჩავთვლიდით რომ მოდავეებს შორის დიდი სხვაობა იყო სანქციების ფასს შორის თუ მცირე. (იხ. დანართი 1.) მაგ. დრეზნერი 90-იანებში რუსეთ-საქართველოს სანქციების ანალიზისას თვლიდა, რომ ეს სხვაობა მაღალი იყო (large gap), თუმცა ბუნებრივია 2000-იანებში ეს უნდა შემცირებულიყო.

⁵¹ ზომიერ დათმობებში არ იგულისხმება მაღალი პოლიტიკის საკითხები.

წევრი. რაც შეეხება ინდოეთ-ნეპალის ქეისს, ამ შემთხვევაში დრეზნერის მოდელმა საბოლოოდ, ვერ მოახერხა ეკონომიკური იძულების შედეგების სწორად პროგნოზირება, რადგან ნეპალი სრულად დათანხმდა ინდოეთის მოთხოვნებს და ყველაფერთან ერთად, დათმო მაღალი პოლიტიკის საკითხშიც - უარი თქვა ჩინეთთან სამხედრო კავშირების გაღრმავებაზე, რითაც საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკა, ფაქტიურად ინდოეთის უსაფრთხოების გამოწვევებს მოარგო (მას დაუქვემდებარა). აქედან გამომდინარე საინტერესოა აიხსნას, თუ რამ გამოიწვია განსხვავებული შედეგების დადგომა მაშინ როცა გარემოებები ორივეგან მსგავსი იყო და წესით შედეგებიც მსგავსი უნდა დამდგარიყო.

აღნიშნული ქეისების შედარებისას, სამიზნეების მიერ სანქციების ჩიხიდან თავდასაღწევად გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით, ვთვლი რომ გეოგრაფიულმა ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დამდგარ შედეგში. კერძოდ, ჰიპოთეზაში დამოუკიდებელ ცვლადად გამოყოფილ ფაქტორებს რომ გავყვეთ, საქართველოს მაიძულებლის გარდა ესაზღვრებოდა სამი ქვეყანა; ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი; მის უშუალო სამეზობლოში მას შეეძლო იმ რესურსების მოძიება, რაც სანქციების შედეგად შეუწყდა (ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეზობელი აზერბაიჯანის სიმდიდრე ბუნებრივი რესურსებით); გარდა ამისა, შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებაც ხელსაყრელი იყო (აზერბაიჯანს თავადაც ჰქონდა საქართველოსთვის გაზის მიწოდებისა და მასთან გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების ინტერესი) და რელიეფურადაც არანაირი დაბრკოლება არ იყო უშუალო მეზობელთან არსებულ საზღვრებზე. რაც შეეხება ნეპალს, მას მაიძულებლის გარდა ესაზღვრებოდა მხოლოდ ერთი ქვეყანა და მასთან საზღვარიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე რთულ ზოლს - ჰიმალაის მთათა სისტემას მიუყვებოდა; ამავე დროს, მას არ ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი; მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს ჰქონდა ის რესურსები, რაც ნეპალს ინდოეთიდან შეუწყდა, მას არ გააჩნდა მისი მიწოდების უნარი (იმ ხანად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო), თანაც არც შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება მოქმედებდა ნეპალის სასარგებლოდ (იხ დანართი 10). ჩემი აზრით, სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ერთის მხრივ საქართველოს უნარი რათა გაეძლო რუსეთის სანქციებისთვის, ხოლო მეორეს მხრივ კი

ნეპალის უუნარობა წინ აღდგომოდა ინდოეთის ეკონომიკურ ზეწოლას. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, პოლიტიკური ელიტის მიერ სანქციების დარტყმის შესარბილებლად გაწეული ძალისხმევა ნაყოფიერი აღმოჩნდა, ხოლო ნეპალის შემთხვევაში ამგვარმა ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო. მართლაც თითქმის შეუძლებელია თავი დააღწიო ვითარებას, როდესაც მაიძულებელი (რომლის ტერიტორიის გავლითაც შენი ვაჭრობის 90%-ზე მეტი ხორციელდება) 3 მხრიდან სრულად გიკეტავს საზღვრებს და მის გარდა ერთადერთ მეზობელთან საზღვარიც ჰიმალაის მთათა სისტემას მიუყვება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი, მაგალითად ჟან-მარკ ბლანჩარდი და ნორინ რიპსმანი, ამავე ქეისში, ნეპალის კაპიტულაციის ასახსნელად გადამწყვეტ მნიშვნელობას საშინაო ფაქტორებს ანიჭებენ და ამბობენ, რომ მანამდე არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და პროდემოკრატიული ოპოზიციის სიძლიერემ განაპირობა ნეპალის დანებება. ანუ მათი თქმით, შიდა პოლიტიკურმა დაყოფამ, მეფის ხელისუფლებას ხალხის ე.წ. „დროშის გარშემო გაერთიანების“ (“rally round the flag effect”-ის გამოყენების) საშუალება არ მისცა და რადგან საბოლოოდ რეჟიმიც შეიცვალა, ამან განაპირობა ნეპალის დათმობები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება ამ ქეისის ასახსნელად საკმაოდ სოლიდური ჩანს, ჩემი აზრით, ის მაინც უგულებელყოფს საწყის მთავარ მიზეზს, რამაც მასების უკმაყოფილებაც გამოიწვია და პროდემოკრატიული ძალების უკიდურეს გაძლიერებასაც შეუწყო ხელი. ეს მთავარი მიზეზი, კი იყო ნეპალის უუნარობა გამოემებნა ალტერნატიული სავაჭრო და სატრანზიტო არხები, რისი საშუალებაც წმინდა გეოგრაფიულმა ფაქტორებმა არ მისცა. სწორედ ამის გამო სანქციები უკიდურესად მძიმე ასატანი გახდა, რამაც მასების გაღიზიანებაც გამოიწვია და ოპოზიციის გაძლიერებასაც შეუწყო ხელი. მეფის მიერ ხალხის ე.წ. „დროშის გარშემო გაერთიანების“ შემთხვევაშიც კი ჩემთვის რთული წარმოსადგენია თუ როგორ უნდა ჩაენაცვლებინა ჩინეთთან იმ დროისთვის არსებულ ერთადერთ დამაკავშირებელ გზატკეცილს (იმასაც შესაკეთებელს) ინდოეთთან, დაბლობებზე გამავალ, 1770 კმ-ის სიგრძის საერთო საზღვარზე მდებარე 21 გამშვები

პუნქტი. ამგვარი გადაწყობა ინდოეთიდან ჩინეთზე ახლო პერსპექტივაში⁵² შეუძლებელი იყო ნეპალისთვის. რატომ უნდა არ ვაკნინებ ამ ავტორების მოსაზრებას, თუმცა მიმაჩნია, რომ იმ დროისთვის (1989-1990 წლებში) ნეპალის დანებების ძირითადი მიზეზი უფრო გეოგრაფულ ფაქტორში იყო, ვიდრე შიდაპოლიტიკურ ფაქტორში.

ასე რომ, ინდოეთ-ნეპალის ქეისის სახით, საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, რომელსაც დრეზნერის აღნიშნული მოდელი არ ითვალისწინებს. კერძოდ, ამ მოდელში მაიძულებლის მიერ სამიზნისგან *მნიშვნელოვანი დათმობების* მიღების მისაღწევად განხილულია მხოლოდ ერთი ვარიანტი - როდესაც მოდავეები მოკავშირეები არიან (ერთმანეთთან მინიმალურ კონფლიქტს მოელიან) და როცა მათ შორის სანქციების ფასში სხვაობა დიდია (იხ. დანართი 1. უჯრა I). თუმცა მასში არა არის გათვალისწინებული ისეთი ვარიანტი, რომელშიც შესაძლოა მოდავეები მოწინააღმდეგეები იყვნენ (ჰქონდეთ მაღალი კონფლიქტის მოლოდინი ერთმანეთთან), სანქციების ფასშიც დიდი იყოს სხვაობა მათ შორის და მაიძულებელმა მოახერხოს მაქსიმალური დათმობების მიღება სამიზნისგან (როგორც ეს ინდოეთ-ნეპალის ქეისში მოხდა). აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ კარგი იქნებოდა თუკი ეს მოდელი ამ მეორე ვარიანტსაც გაითვალისწინებდა და II უჯრაში *ზომიერი დათმობების* გვერდით, *მნიშვნელოვანი დათმობების* შემთხვევასაც თუ განიხილავდა - იმ გეოგრაფიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით რაზეც ზემოთ ვისაუბრე.

საბოლოოდ, ინდოეთ-ნეპალის ქეისის ბოლომდე ვერ ახსნის მიუხედავად, ხაზგასმით მინდა ავლნიშნო, რომ არ არსებობს რაიმე საფუძველი, რაც დრეზნერის მოდელის შესაძლებლობებს და სარგებლიანობას ეჭვქვეშ დააყენებს. მიმაჩნია რომ ეს მოდელი უაღრესად სწორ, რეალისტურ ლოგიკას ემყარება და ამავე დროს მარტივადაც არის აგებული, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში სანქციების შედეგების სწორად პროგნოზირების კარგ საშუალებასაც იძლევა. თუნდაც ამავე ქეისში, ის ფაქტი, რომ ნეპალი 15 თვის მანძილზე ებრძოდა მაიძულებელს სწორედ ამ თეორიის სასარგებლოდ მეტყველებს. უბრალოდ, გამომდინარე იქიდან, რომ მან საბოლოოდ მაინც ვერ გაუძლო

⁵² უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში მაინც

ინდოეთის ზეწოლას, რის უმთავრეს მიზეზადაც ამ უკანასკნელის სპეციფიკური⁵³ გეოგრაფიული მოცემულობა მივიჩნე, ვეცადე აღნიშნული მოდელი გეოგრაფიული ფაქტორის დამატებით გამემდიდრებინა.

8. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში საუბარი იყო ეკონომიკური სანქციების თემატიკაზე, კერძოდ, ეკონომიკური ძალაუფლების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაზე. სანქციების ეფექტურობა/არაეფექტურობასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვის გარდა, წარმოდგენილი იყო ეკონომიკური სანქციების ორი შემთხვევა - რუსეთ-საქართველოსა და ინდოეთ-ნეპალის ქეისები, რომელთა ასახსნელადაც გამოყენებული იყო დანიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული თეორიის მიხედვით ორივე ქეისში, მაღალი კონფლიქტის მოლოდინიდან გამომდინარე მსგავსი შედეგები უნდა დამდგარიყო სამიზნეების ქცევის კუთხით, მაგრამ რეალურად კი აბსოლიტურად განსხვავებული შედეგები დადგა, იყო მცდელობა დაგვედგინა თუ რამ გამოიწვია ეს დისონანსი.

კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი იყო *ჰიპოთეზა*, რომ განსხვავებული შედეგების დადგომა გამოიწვია საქართველოსა და ნეპალის რადიკალურად განსხვავებულმა გეოგრაფიულმა მოცემულობამ. დამოუკიდებელ ცვლადად განხილული იყო გეოგრაფიული მდებარეობის სხვადასხვა ასპექტები როგორცაა, სამიზნის უშუალო მოსაზღვრე ქვეყნების რაოდენობა (მაიმულებლის გარდა), ზღვაზე გასასვლელის ქონა, მეზობლების მიერ სანქციებით შეწყვეტილი რესურსების ფლობა, ამ რესურსების სამიზნისთვის მიწოდების სურვილისა და უნარის ქონა (გეოპოლიტიკური კონტექსტის ჭრილში), და ბოლოს, მესამე ქვეყნებთან სამიზნის უშუალო საზღვრის რელიეფის სირთულე. ხოლო *დამოკიდებულ ცვლადში* ნაგულისხმები იყო ერთის მხრივ საქართველოს არ დამორჩილება რუსეთის მოთხოვნებზე და პროდასავლური კურსის კიდევ უფრო გაძლიერება, ხოლო მეორეს მხრივ ნეპალის მიერ უარის თქმა ჩინეთთან

⁵³ის, რომ ნეპალი იყო ინდოეთით ჩაკეტილი, ე.ი. მაიმულებლით ჩაკეტილ ვითარებაში.

სამხედრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე და სრულად დათანხმება ინდოეთის მოთხოვნებზე.

აღნიშნული ცვლადების მიხედვით, სამიზნეთა მიერ სანქციების ჩიხიდან თავდასაღწევად გადადგმული ნაბიჯების შესწავლის შედეგად, ნაჩვენები იყო ის ფაქტორები, რამაც გამოიწვია განსხვავებული შედეგების დადგომა სანქციების ეფექტურობის კუთხით. კერძოდ, საქართველომ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მოახერხა რუსული ბაზრის ალტერნატივის გამონახვა და ამავე დროს მეზობელი აზერბაიჯანის ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრის წყალობით ინტენსიურად დაიწყო რუსული გაზის ჩანაცვლებაც, მისგან საბოლოოდ ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით. გარდა ამისა რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებაც საქართველოს სასიკეთოდ მოქმედებდა და შესაბამისად მან საბოლოოდ არაფერი დაუთმო მაიძულებელს. ხოლო რაც შეეხება ნეპალს, ის ძალზედ წამგებიან ვითარებაში აღმოჩნდა თავისი სპეციფიკური მდებარეობიდან გამომდინარე და ვერ მოახერხა რეალური სავაჭრო და სატრანზიტო ალტერნატივების მოძებნა ვერც უშუალო სამეზობლოში და ვერც რეგიონის მასშტაბით. მას მაიძულებლის გარდა მხოლოდ ჩინეთი ემეზობლებოდა, რომელთან საზღვარიც მსოფლიოში ერთ-ერთ ურთულეს არეალზე - ჰიმალაის მთათა სისტემაზე გადიოდა და ამავე დროს ინფრასტრუქტურაც მოუწესრიგებელი იყო მათ შორის. შესაბამისად რადგან, რთული რელიეფის გამო, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება არცთუ ისე ახლო პერსპექტივა იყო, იმ დროისათვის ჩინეთი ნეპალისთვის რეალურ ალტერნატივად ამიტომაც არ გამოდგებოდა. ამას თან ერთვოდა დასავლეთთან ურთიერთობების გაფუჭების ფონზე ჩინეთის პრაგმატული პოლიტიკაც ინდოეთთან მიმართებაში, რაც გეოპოლიტიკურადაც არახელსაყრელ ვითარებას ქმნიდა სამიზნისთვის. ყოველივე ამის შედეგად, ნეპალი, ბრძოლის მიუხედავად საბოლოოდ მაინც გატყდა.

ასე რომ, საბოლოო ჯამში, ჩემთვის, ამ ორი ქეისის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გეოგრაფიული მოცემულობა ნამდვილად გამოიკვეთა როგორც უძლიერესი გავლენის მომხდენი ფაქტორი სამიზნეთა ქცევაზე, რის გამოც შევეცადე დრეზნერის თეორია ახალი ასპექტებით გამემდიდრებინა.

ტერმინთა ოპერაციონალიზაცია

- **კონფლიქტის მოლოდინი** - კონფლიქტის მოლოდინის განსაზღვრა გულისხმობს ორი ქვეყნის (მაიძულელების და სამიზნის) ერთმანეთთან ისტორიული ურთიერთობების გაანალიზებას, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქვეყნებს წარსულში, თუ როგორ ურთიერთობებში იმყოფებიან ისინი კონკრეტულ მომენტში, აქვთ თუ არა ტერიტორიული დავები ერთმანეთთან და სხვა. ამ ყოველივეს საფუძველზე კი იმის დადგენას, მეგობრებად/მოკავშირებად შეიძლება მივიჩნიოთ მხარეები თუ მტრებად/მოწინააღმდეგეებად.
- **Smart Sanctions (ჭკვიანი სანქციები)** - სანქციების შედარებით ახალი სახე, რომელიც ამცირებს ზოგადად ქვეყნის მთელს პოპულაციაზე მიყენებულ ეკონომიკურ დარტყმას და მიმართულია კონკრეტულად პოლიტიკური ელიტის ეკონომიკური აქტივების მიზანში ამოღებაზე. მისი იდეა არის ის, რომ თავიდან იქნას აცილებული ყოვლისმომცველი სავაჭრო სანქციები, რაც სამიზნე სახელმწიფოს მთელს ეკონომიკას ვნებს და ფოკუსირება გაკეთდეს ისეთი სანქციონირების ზომებზე, რომელიც პირდაპირ ურტყავს დიქტატორულ რეჟიმს და მის მდიდარ მხარდამჭერებს. (Mastanduno, 2008, p.178)
- **Economic Stick (ეკონომიკური ხელკეტი)** - გამოიყენება ნეგატიური სანქციის სინონიმად და გულისხმობს მაიძულელების მიერ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ზარალის მიყენებას სამიზნისთვის, რათა დაითანხმოს ეს უკანასკნელი თავის მოთხოვნებზე. ამგვარი სანქციები გულისხმობს ყოვლისმომცველ ან ნაწილობრივ სავაჭრო ემბარგოს, ფინანსური აქტივების გაყინვას, უცხოური პირდაირი ინვესტიციების შეჩერებას, სამიზნის ვალუტის გაუფასურებას (ამ უკანასკნელის ვალუტის დიდი რაოდენობით გაყიდვის გზით), საგარეო დახმარების შეზღუდვებს (იქვე. 178).
- **economic carrot (ეკონომიკური სტაფილო)** - გამოიყენება პოზიტიური სანქციების სინონიმად და გულისხმობს მაიძულელების მცდელობას ეკონომიკური

წახალისების/დახმარების გზით მიიღოს სასურველი შედეგი სამიზნისგან. ის შეიძლება გათვლილი იყოს როგორც ახლო პერსპექტივაზე ისე გრძელვადიან ჩართულობაზე. ამგვარი სანქციების იარაღებია: მაიმულებლის მიერ ეკონომიკური დახმარების გაზრდა სამიზნისთვის, მასთან მომგებიანი სავაჭრო შეთანხმებების დადება, სამიზნის ვალუტის ღირებულების მხარდაჭერა, პირდაპირი უცხოური და პორტფოლიო ინვესტიციების წახალისება (იქვე. 182)

- **“Most Favored Nation Clause” (ყველაზე სასურველი ქვეყნის პუნქტი)** - ეს არის სტატუსის დონე, რომელსაც ერთი ქვეყანა ანიჭებს მეორეს და რომელსაც ანხორციელებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ქვეყანა ამ სტატუსს აძლევს სხვა სახელმწიფოს, როდესაც მასთან ვაჭრობის გაზრდით არის დაინტერესებული. ქვეყნები, რომლებმაც მიაღწიეს ამგვარ სტატუსს, ეძლევათ სპეციფიკური სავაჭრო უპირატესობები, როგორცაა შემცირებული ტარიფები იმპორტირებულ პროდუქტებზე.

<http://www.investopedia.com/terms/m/mostfavorednation.asp>

- **პასიმონიული თეორია** - სოციალურ მეცნიერებებში პარსიმონიული ეწოდება ისეთ თეორიას, რომელიც ყველაზე მეტ მოვლენას ხსნის და ამავე დროს არის მარტივი თეორია. მაგალითად, დემოკრატიული მშვიდობის თეორია, ანუ ის, რომ დემოკრატიული რეჟიმები ერთმანეთს არ ებრძვიან უმარტივესი და მოკლე თეორიას, მაგრამ ფაქტობრივად ხსნის ძალიან ბევრ მოვლენას (აკობია, 2006, 15).
- **Rally around the flag effect (დროშის გარშემო გაერთიანების ეფექტი)** - სანქციების თემატიკაში ეს ნიშნავს ვითარებას, როდესაც სანქციები სამიზნე სახელმწიფოში იწვევს არა პოლიტიკურ არევ-დარევას და მთავრობის დეზინტეგრაციას არამედ პოლიტიკურ ინტეგრაციას. სანქციები ქმნის სოლიდარობის განცდას სამიზნე ქვეყანაში, როცა მოქალაქეები და ლიდერები ერთიანდებიან რათა პასუხი გასცენ ისეთ რამეს, რაც აღიქმება (ან პოლიტიკური ლიდერების მიერ არის ამგვარად „დახატული“) საგარეო საფრთხედ ან ქვეყანაზე თავდასხმად. მაგ. ფიდელ კასტრო ყოველთვის ოსტატურად ახერხებდა კუბის ცენტრალიზებული

ეკონომიკის მიერ თავისივე წარმოქმნილი პრობლემების გადაბრალებას „იანკების იმპერიალიზმისთვის“. (Mastanduno, 2008, p.177)

დანართი 1. ეკონომიკური იძულების პროგნოზირების მოდელი (The predicted pattern of economic coercion)

	<i>მინიმალური კონფლიქტის მოლოდინი/მოკავშირე (minimal conflict expectations/Ally)</i>	<i>მაღალი კონფლიქტის მოლოდინი/მოწინააღმდეგე (heightened conflict expectations/Adversary)</i>
<i>დიდი სხვაობა სანქციების ფასში⁵⁴ დამწესებელსა და სამიზნეს შორის (large gap in costs)</i>	I მნიშვნელოვანი დათმობები (significant concessions)	II ზომიერი დათმობები (moderate concessions)
<i>მცირე სხვაობა სანქციების ფასში დამწესებელსა და სამიზნეს შორის (small gap in costs)</i>	III თითქმის არ არსებობს იძულების მცდელობა (no coercion attempt)	IV უმნიშვნელო დათმობები (minor concessins)

(Drezner, 1999, p. 5)

⁵⁴ სანქციების ფასში იგულისხმება ერთის მხრივ სამიზნისთვის სანქციების ჩიხიდან თავდაღწევის ფასი და მეორეს მხრივ მაიძულებლის მიერ სანქციების დასაწყესებლად გაღებული მსხვერპლი.

დანართი 2. (A. B. C.)

A.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2005 წლის
ექსპორტის მიხედვით

Largest partners of Georgia in 2005 exports

ქვეყნები*	მლნ. აშშ დოლარი Mln. USD		% მილიან ექსპორტში % in total Exports		ადგილი Rank		Countries *
	2004	2005	2004	2005	2004	2005	
ექსპორტი, სულ	647,0	866,2	100	100			Total Exports
რუსეთი	104,5	153,9	16,2	17,8	1	1	Russia
თურქეთი	118,6	121,8	18,3	14,1	2	2	Turkey
აზერბაიჯანი	25,3	83,4	3,9	9,6	4	3	Azerbaijan
თურქმენეთი	113,4	75,8	17,5	8,8	6	4	Turkmenistan
ბულგარეთი	15,6	42,8	2,4	4,9	5	5	Bulgaria
სომხეთი	54,5	39,9	8,4	4,6	8	6	Armenia

B.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2005 წლის
იმპორტის მიხედვით

Largest partners of Georgia in 2005 imports

ქვეყნები*	მლნ. აშშ დოლარი Mln. USD		% მილიან იმპორტში % in total Imports		ადგილი Rank		Countries *
	2004	2005	2004	2005	2004	2005	
იმპორტი, სულ	1847,9	2490,9	100	100			Total Imports
რუსეთი	257,8	384,3	13,9	15,4	1	1	Russia
თურქეთი	202,1	283,0	10,9	11,4	2	2	Turkey
აზერბაიჯანი	156,4	233,4	8,5	9,4	4	3	Azerbaijan
უკრაინა	142,4	219,4	7,7	8,8	6	4	Ukraine
გერმანია	151,1	206,8	8,2	8,3	5	5	Germany

C.

საქართველოს უმსხვილესი საეკონომიკური პარტნიორი ქვეყნები 2005 წლის საეკონომიკური ბრუნვის მიხედვით

Largest partners of Georgia in 2005 trade turnover

ქვეყნები*	მლნ. აშშ დოლარი Mln. USD		% მთლიან საეკონომიკურ ბრუნვაში % in total Turnover		ადგილი Rank		Countries *
	2004	2005	2004	2005	2004	2005	
ბრუნვა, სულ	2440,7	3297,5	100	100			Total Turnover
რუსეთი	362,3	538,3	14,8	16,3	1	1	Russia
თურქეთი	320,7	404,8	13,1	12,3	2	2	Turkey
აზერბაიჯანი	181,7	316,9	7,4	9,6	4	3	Azerbaijan
უკრაინა	158,0	256,6	6,5	7,8	6	4	Ukraine
გერმანია	166,9	235,2	6,8	7,1	5	5	Germany

(წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=658&lang=geo, ნანახია 1 მაისი, 2017)

დანართი 3. (A. B.)

A.

საქართველოს უმსხვილესი საეკონომიკური პარტნიორი ქვეყნები 2008 წლის ექსპორტის მიხედვით

The largest partners of Georgia by exports in 2008

ქვეყნები*	ათასი აშშ დოლარი Thsd. USD		% მთლიან ექსპორტში % in total Exports		Countries *
	2007	2008	2007	2008	
	ექსპორტი - სულ	1 232 371	1 496 060	100,0	
მათ შორის:					Of which:
თურქეთი	171 764	262 910	13,9	17,6	Turkey
აზერბაიჯანი	137 455	204 534	11,2	13,7	Azerbaijan
უკრაინა	94 169	134 174	7,6	9,0	Ukraine
კანადა	70 604	131 806	5,7	8,8	Canada
სომხეთი	110 844	123 422	9,0	8,2	Armenia
ბულგარეთი	59 357	108 217	4,8	7,2	Bulgaria
აშშ	149 036	102 198	12,1	6,8	United States

B.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2008 წლის იმპორტის მიხედვით

The largest partners of Georgia by imports in 2008

ქვეყნები*	ათასი აშშ დოლარი		% მთლიან იმპორტში		Countries *
	Thsd. USD		% in total Imports		
	2007	2008	2007	2008	
იმპორტი - სულ	5 214 883	6 304 557	100,0	100,0	Total Imports
მათ შორის:					Of which:
თურქეთი	727 906	940 480	14,0	14,9	Turkey
უკრაინა	574 906	657 720	11,0	10,4	Ukraine
აზერბაიჯანი	382 367	607 396	7,3	9,6	Azerbaijan
გერმანია	387 327	497 304	7,4	7,9	Germany
რუსეთი	576 604	426 330	11,1	6,8	Russian

(წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

დანართი 4. (A. B.)

A. რუსული გაზის საფასური (\$/ყოველ 1000 კუბურ მეტრში)

Natural gas prices charged to Russian customers (\$/TCM).

	2005	2006	2007	2008
Armenia	\$56	\$110	\$110	\$110
Belarus	\$46	\$46	\$110	\$125
Georgia	\$63	\$110	\$235	\$235
Moldova	\$80	\$110	\$170	\$190
Ukraine	\$50	\$95	\$130	\$160

(Newnham, 2011, გვ. 139)

B. საქართველოს გაზომიარაგება წლებისა და წყაროების მიხედვით 2003-2014 წლებში

წელი	საქართველოს მოხმარება (კუბური მეტრი)	რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტის საფასური (10%)	რუსეთიდან დამატებით	სამხრეთ კავკასიური გაზსადენიდან	აზერბაიჯანი	ირანი	სხვა
2014	2,177,036,000	206,166,000	61,607,000	686,022,000	1,211,552,000	0	11,689,000
2013	1,912,530,000	195,633,000	0	677,353,000	1,037,737,000	0	1,807,000
2012	1,969,199,000	196,720,000	32,249,000	717,416,000	992,986,000	0	29,829,000
2011	1,782,729,000	160,906,000	31,233,000	737,803,000	775,762,000	0	77,025,000
2010	1,121,140,000	144,014,000	43,665,000	525,873,000	338,570,000	0	69,019,000
2009	1,188,822,000	147,316,000	117,426,000	405,654,000	510,622,000	0	7,804,000
2008	1,471,218,000	225,437,000	508,931,000	265,139,000	471,711,000	0	0
2007	1,700,020,000	205,436,000	975,268,000	250,411,000	268,905,000	0	0
2006	1,806,417,000	171,564,000	1,610,396,000	0	19,502,000	4,955,000	0
2005	1,331,575,000	168,503,000	1,163,072,000	0	0	0	0
2004	1,112,910,000	133,257,000	979,653,000	0	0	0	0
2003	878,791,000	120,095,000	758,696,000	0	0	0	0

(წყარო: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო)

დანართი 5.

საქართველოს ენერგოსისტემების ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის სტატისტიკა 2006-2013 წწ. (მლნ. კვტსთ)


	2006 (სექ. - დეკ.)	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013 (იან. - ოქტ.)
იმპორტი თურქეთიდან	31.762	149	54.3	-	0.00014	0.002823	0.000548	-
ექსპორტი თურქეთში	-31.53	-215.6	-216	-182.3	-303.366	-218.625	-79.008	-
იმპორტი აზერბაიჯანიდან	15.523	107.4	34.6	31.5	10.138	23.42	97.794	-
ექსპორტი აზერბაიჯანში	-29.986	-109.6	-30.9	-21.5	-14.344	-5.924	-11.790	-6.612
იმპორტი სომხეთიდან	-	-	-	0.04	-	-	0.000408	0.001014
ექსპორტი სომხეთში	-	-	-	-19.8	-89.447	-117.474	-67.917	-73.16
იმპორტი რუსეთიდან	12.802	176.8	560.1	223.3	211.937	447.542	516.797	366.287
ექსპორტი რუსეთში	-0.568	-300.2	-432.7	-525.8	-1117.123	-588.575	-369.432	-370.602
იმპორტი სულ:	60.087	433.3	649	254.8	222.08	470.96	614.59	366.29
ექსპორტი სულ:	-61.807	-625.5	-679.6	-749.4	-1524.28	-930.6	-528.15	-450.37

(წერეთელი, 2014, გვ. 74)


დანართი 6. (A. B.)

A. ფულადი გზავნილები საქართველოში

Remittances to Georgia by countries (as of 2011)




Remittances to Georgia (2007-2011 I-III*)



B. ძირითადი ქვეყნები გადმორიცხვების მიხედვით

Major Countries by Remittances (2007-2011 I-III*)



(Economic Policy Research Center, December 2011)

დანართი 7. ძირითადი საქონლის ექსპორტი ინდოეთში (მლნ/რუპია)

Export of Major Commodities to India
(In Million Rupees)

Commodities	1975/76	1976/77	1977/78	1978/79	1979/80	1980/81	1981/82	1982/83	1983/84	1984/85	1985/86	1986/87	1987/88	1988/89	1989/90	1990/91
Timber	54.1	103.4	146.7	176.7	136.1	226.2	87.2	28.8	7.9	25.7	-	-	-	-	-	-
Rice	495.4	343.0	46.5	13.3	2.9	117.6	136.5	11.3	75.7	250.0	93.2	14.4	-	-	-	-
Maize	-	1.4	4.7	4.9	2.7	24.5	26.1	0.3	0.4	10.9	-	-	-	1.3	0.1	3.6
Mustard & Linseeds	40.3	31.1	4.5	-	-	-	-	-	75.5	25.7	58.2	103.1	141.3	50.8	3.7	44.7
Herbs	2.8	6.3	6.5	5.2	13.5	16.5	6.4	5.9	8.0	27.9	16.6	8.1	16.4	13.7	4.5	12.2
Ghee	60.5	35.8	33.2	46.0	21.2	54.0	26.2	36.8	45.8	39.4	47.1	46.6	46.7	49.9	7.8	11.5
Dried ginger	15.0	27.3	16.1	14.2	8.6	10.8	15.3	19.3	37.1	38.7	30.3	35.2	37.3	30.3	9.9	20.8
Pulses	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	21.1	34.3	123.1	51.8	2.7	74.4
Kutch	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	83.6	108.7	105.4	43.6	-	5.8
Live animals	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	103.8	116.2	162.5	126.1	75.1	60.9
Ginger	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	14.0	22.3	34.1	30.5	29.2	61.4
Oil cake	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	51.1	57.6	57.5	49.0	22.6	71.4
Catechu	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	9.2	11.2	9.0	3.3	11.0	87.5
Rice bran oil	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	30.9	44.0	79.0	53.2	5.1	136.4
Raw jute	-	-	-	2.1	12.9	46.4	43.4	85.5	36.5	43.9	2.3	14.5	44.1	36.5	117.5	5.4
Jute goods	-	-	-	8.2	8.3	10.3	81.0	179.7	212.1	240.0	167.4	164.0	188.7	134.0	4.5	272.3

(წყარო: Nepal Rastra Bank, https://www.nrb.org.np/ecorev/pdf/vol7_art4.pdf)

დანართი 8. ინდოეთის წილი ნეპალის ვაჭრობაში (პროცენტებში)

India's Share in Nepal's Trade
(In Percent)

Fiscal Year	Exports	Imports	Total Trade
1975/76	75.4	61.9	67.0
1976/77	66.9	66.9	66.9
1977/78	47.6	62.1	57.8
1978/79	50.1	54.8	53.4
1979/80	45.3	51.3	49.8
1980/81	61.7	49.2	52.5
1981/82	66.7	46.3	51.0
1982/83	74.5	39.6	44.9
1983/84	68.1	46.9	51.7
1984/85	58.4	50.3	52.4
1985/86	40.3	42.5	42.0
1986/87	43.5	39.1	40.0
1987/88	38.1	33.1	34.3
1988/89	24.7	26.1	25.8
1989/90	12.7	25.2	22.7
1990/91	21.0	32.0	29.0
1991/92	11.3	35.9	28.5

(წყარო: Nepal Rastra Bank)

დანართი 9. (A.B.)

A. ნეპალის ვაჭრობა ინდოეთთან (მლნ/რუპია)

Nepal's Trade with India
(In Million Rupees)

Fiscal Year	Exports	Imports	Trade Deficit
1975/76	893.7	1,227.1	333.4
1976/77	779.6	1,343.5	563.9
1977/78	498.1	1,534.1	1,036.0
1978/79	650.1	1,581.7	931.5
1979/80	520.9	1,786.4	1,265.5
1980/81	992.4	2,179.0	1,186.6
1981/82	994.4	2,280.9	1,286.5
1982/83	843.2	2,499.6	1,656.4
1983/84	1,160.7	3,058.0	1,897.3
1984/85	1,601.7	3,895.8	2,294.1
1985/86	1,241.1	3,970.9	2,729.8
1986/87	1,302.6	4,262.0	2,959.4
1987/88	1,567.8	4,595.8	3,028.0
1988/89	1,034.9	4,238.7	3,203.8
1989/90	666.6	4,646.3	3,979.7
1990/91	1,552.0	7,323.1	5,770.9
1991/92	1,568.9	11,815.9	10,247.0

(წყარო: Nepal Rastra Bank)

B. საგარეო ვაჭრობის მიმართულება, 1989, 1990 და 1991 ფისკალური წლები (მლნ/რუპია)

Nepal: Direction of Foreign Trade, Fiscal Years 1989, 1990, and 1991
(in millions of rupees) ¹

	1989	1990 ²	1991 ³
Exports			
India	1,034.9	666.6	1,348.0
Other	3,160.4	4,568.9	4,182.1
Total exports	4,195.3	5,235.5	5,530.1
Imports			
India	4,238.7	4,646.3	5,574.5
Other	12,025.0	13,755.2	11,281.9
Total imports	16,263.7	18,401.5	16,856.4
Trade balance			
India	-3,203.8	-3,979.7	-4,226.5
Other	-8,864.6	-9,186.3	-7,099.8
Total trade balance	-12,068.4	-13,166.0	-11,326.3

(Savada, 1993, p. 355)

დანართი 10. საქართველოს და ნეპალის შედარება გეოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით

	A. სამიზნის უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყნების რაოდენობა მაიპუ-ლებლის გარდა	B. ზღვაზე გასასვლე-ლის ქონა	C. სამიზნის უშუალოდ მოსაზღვრე სახელმწიფოე-ბის მიერ, სანქციებით შეწყვეტილი რესურსების ფლობა	D. უშუალო მეზობლების მიერ რესურსების მიწოდების სურვილი და უნარი (გეოპოლიტიკუ-რი კონტექსტი)	E. უშუალო საზღვრის ლანდშაფ-ტური თავისებუ-რებები მესამე მხარესთან
საქართველო	3	კი	კი	ხელსაყრელი	მარტივი
ნეპალი	1	არა	კი	არახელსაყრელი (გეოპოლიტიკუ-რადაც და ინფრასტრუქ-ტურულადაც)	ძალიან რთული

გამოყენებული ლიტერატურა:

- Andrea Matles Savada, „Nepal and Bhutan country studies“, Third Edition, First Printing, 1993
<https://archive.org/stream/nepalbhutancount00sava?textSrch=appendix&btnSrch=#page/n5/mode/2up>
- Barbara Crossette, „Nepal's Economy Is Gasping as India, a Huge Neighbor, Squeezes It Hard“, The New York Times, April 11, 1989
<http://www.nytimes.com/1989/04/11/world/nepal-s-economy-is-gasping-as-india-a-huge-neighbor-squeezes-it-hard.html>
- Barbara Crossette, „Bhumar Kot Journal; A Cold Wind From India Makes Nepal Life Harder“, The New York Times, November 15, 1989,
<http://www.nytimes.com/1989/11/15/world/bhumar-kot-journal-a-cold-wind-from-india-makes-nepal-life-harder.html>
- BBC News, „Russian wine move draws protests“, 30 March 2006,
<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/4860454.stm> (წაწახიბ - 9 მახიბი, 2017)
- BBC News, „Russia bans Georgia mineral water“, 5 May 2006,
<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/4976304.stm> (წაწახიბ - 10 მახიბი, 2017)
- BBC News, „Russia blamed for 'gas sabotage'“, 22 January 2006,
<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/4637034.stm> (წაწახიბ - 14 მახიბი, 2017)
- BBC News, „Georgia 'agrees Russia gas bill“, 22 December 2006,
<http://news.bbc.co.uk/2/hi/business/6203721.stm> (წაწახიბ - 15 მახიბი 2017)
- BBC News, „Russia resumes Georgia gas flow“, 29 January 2006,
<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/4659826.stm> (წაწახიბ - 16 მახიბი 2017)
- BBC News, „Putin fury at Georgia 'terrorism'“, 2 October 2006,
<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/5397102.stm> (წაწახიბ - 20 მახიბი, 2017)
- BBC News, „Georgians deported as row deepens“, 6 October 2006,
<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/5412672.stm> (წაწახიბი 23 მახიბი, 2017)

- Central Intelligence Agency <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/np.html>
- CEPS Working Document, “Russia’s Punitive Trade Policy Measures towards Ukraine, Moldova and Georgia”, No. 400 / September 2014, https://www.ceps.eu/system/files/WD%20300%20Punitive%20Trade%20Measures%20by%20Russia_0.pdf (წახედავა 10 მარტი, 2017)
- C. J. Chivers, “Georgia Reopens Old Gas Line to Ease Post-Blast Shortage”, The New York Times, January 24, 2006 <http://www.nytimes.com/2006/01/24/world/europe/georgia-reopens-old-gas-line-to-ease-postblast-shortage.html> (წახედავა - 17 მარტი, 2017)
- C. J. Chivers, “A Russian 'Wine Blockade' Against Georgia and Moldova”, The New York Times, April 6, 2006, http://www.nytimes.com/2006/04/06/world/europe/06russia.html?_r=0 (წახედავა - 9 მარტი 2017)
- CNN, „Blasts cut Georgia gas, electricity supplies“, January 22, 2006 <http://edition.cnn.com/2006/WORLD/europe/01/22/russia.gas/> (წახედავა - 14 მარტი 2017)
- Daniel W. Drezner, “The Sanctions Paradox”, Cambridge University Press, 1999
- David A. Baldwin, “Economic Statecraft”, Princeton University Press, 1985, Ch. 1, 2 pp. 4-29
- Economic Policy Research Center (EPRC), “The Role of Remittances in Georgian Economy”, ISSUE IN FOCUS, Third Report, December 2011 http://www.osgf.ge/files/publications/2011/Georgian_Economic_Outlook_III_Dec_2011.pdf
- Economic Policy Research Center, “Georgian Diaspora Study, 2012”, Tbilisi, p. 45 https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/GIZ_Georgian_Diaspora_Study_A4_Book_Print.pdf
- Foreign Policy Analysis, International Studies Association, Volume 4, Issue 4, October 2008, pp. 390-394 <http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/fpa.2008.4.issue-4/issuetoc>

- Gary Clyde Hufbauer, Jeffrey J. Schott, Kimberly Ann Elliott, Barbara Oegg, “Economic Sanctions Reconsidered”, 3rd edition, Washington, DC November 2007 pp 125-147;
- Glenn Kates, „Something Old, Something New: Georgian Wines Adapt To Changing Market“, April 17, 2013 <https://www.rferl.org/a/georgia-wine-exports/24960600.html> (ᄁᄁᄁᄁᄁ 11 ᄁᄁᄁᄁ, 2017)
- Greico, Ch 6, “State Power and the Promotion of National Interests Through Economic Sanctions and Incentives”, pp 163-203;
- Human Rights Watch, “Singled Out: Russia’s Detention and Expulsion of Georgians”, Volume 19 No. 5(D), October 2007, pp. 38-49
<https://www.hrw.org/report/2007/09/30/singled-out/russias-detention-and-expulsion-georgians>
- Igor Torbakov, „Russian Policymakers Air Notion of "Liberal Empire" in Caucasus, Central Asia“, October 26, 2003
<http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav102703.shtml> (ᄁᄁᄁᄁᄁ - 8 ᄁᄁᄁᄁ, 2017);
- Jean-Marc F. Blanchard and Norrin M. Ripsman, “Economic Statecraft and Foreign Policy – Sanctions, incentives and target state calculations”, published by Routledge, 2013 pp. 99-112 <http://ocean.sci-hub.bz/dffd89f065ae09d2a06bb4aef961194f/10.4324%409780203098172.pdf>
- John S. Odell, „“Case Study Methods in International Political Economy.”“ International Studies Perspectives (International Studies Association) 2 (2001): 161-176
- John W. Garver, "China-India Rivalry in Nepal: The Clash Over Chinese Arms Sales," Asian Survey 31, no. 10 (October 1991): pp. 956-975 <http://moscow.sci-hub.bz/d53c56ad5178fb7dacf915aae926e5bf/10.2307%402645066.pdf> (ᄁᄁᄁᄁᄁ 10 ᄁᄁᄁᄁ);
- Joseph M. Greico and G. John Ikenberry, “State Power and World Markets”, Norton and Co., 2003
- Klaus Knorr, “The Power of Nations”, Basic Books Inc., Ch 4, “The Bases of National Economic Power”, 1975, pp. 79-103;

- Kornely Kakachia and Michael Cecire “Georgian Foreign Policy - The Quest for Sustainable Security”, Konrad-Adenauer-Stiftung e.V 2013
- Koba Liklikadze, “Iraq: As Third-Largest Contingent, Georgia Hopes To Show Its Worth”, September 10, 2007 <https://www.rferl.org/a/1078614.html> (ᄁᄁᄁᄁᄁᄁ - 7 ᄁᄁᄁᄁ, 2017)
- Lasha Labadze, Mirjan Tukhashvili, „Costs and Benefits of Labour Mobility between the EU and the Eastern Partnership Partner Countries“, October 19, 2012 http://www.iset-pi.ge/images/Social_Policy/Costs_and_Benefits_of_Labour_Mobility.pdf
- Liz Fuller, „Caucasus: Georgia, Azerbaijan Seek Alternatives To Russian Gas“, January 5, 2007, <https://www.rferl.org/a/1073826.html> (ᄁᄁᄁᄁᄁᄁ - 16 ᄁᄁᄁᄁ, 2017)
- Los Angeles Times, “Blasts Cut Russian Gas Flow to Georgia, Armenia“, 23 January 2006 <http://articles.latimes.com/2006/jan/23/world/fg-pipeline23>
- Maanvender Singh, “India and Nepal: Neighbours Trapped by Apprehensions“, The Hindu Centre for Politics and Public Policy, Jun 30, 2016 <http://www.thehinducentre.com/the-arena/current-issues/article8791691.ece>
- Mamuka Tsereteli, “Banned In Russia: The Politics Of Georgian Wine,” 19 APRIL 2006 <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/10801-analytical-articles-caci-analyst-2006-4-19-art-10801.html> (ᄁᄁᄁᄁᄁᄁ - 9 ᄁᄁᄁᄁ, 2017)
- Marie Lecomte-Tilouine, „Modern Nepal“, Oxford Research Encyclopedias, Mar 2017 <http://asianhistory.oxfordre.com/view/10.1093/acrefore/9780190277727.001.0001/acrefore-9780190277727-e-245>
- Marina Sokolova, “COLOUR REVOLUTIONS IN THE POST-SOVIET STATES”, March 2012 http://www.nbenegroup.com/regime/soviet_en.html (ᄁᄁᄁᄁᄁᄁ - 5 ᄁᄁᄁᄁ 2017)
- Meghan O’Sullivan, “Iran and the Great Sanctions Debate”, The Washington Quarterly, 33(4), Oct 10, 2010, pp. 7-23;
- Ministry Of Foreign Affairs, Kathmandu, Nepal <https://www.mofa.gov.np/foreign-policy/foreign-policy/>

- Mirian Tukhashvili, "SOCIO-ECONOMIC PROBLEMS OF RETURN MIGRATION IN GEORGIA", Publishing House "UNIVERSAL", Tbilisi 2012, p. 8
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11050/1/Dabrunebul_Migrantta_Kvleva.pdf
- Neil Buckley, „Russia threatens to double gas price to Georgia“, Financial Times, November 3, 2006 <https://www.ft.com/content/2c275652-6a58-11db-83d9-0000779e2340?mhq5j=e1> (ბუნებრივი - 15 მარტი 2017)
- Nepal Rastra Bank, https://www.nrb.org.np/ecorev/pdf/vol7_art4.pdf
- Niranjana Koirala, "Nepal in 1989: A Very Difficult Year," Asian Survey 30, no. 2 (February 1990), pp.136–143. <http://moscow.sci-hub.bz/131e8ea67221e97e147a0f5e94162242/10.2307%402644891.pdf>
- Niranjana Koirala, (1991) Nepal in 1990: End of an Era. Asian Survey, Vol. 31, No. 2. (Feb., 1991), pp. 134-139 <http://moscow.sci-hub.bz/47e5ea50b99818c57d6f10d7578048bf/10.2307%402644923.pdf>
- Radio Liberty, "Georgia Anticipates Sharp Rise in Price of Russian Gas", 03 November 2006 <https://www.rferl.org/a/1143749.html>
- Ramindar Singh, „Trading tensions“, INDIA TODAY, April 15, 1989
<http://indiatoday.intoday.in/story/barricades-go-up-as-two-important-india-nepal-treaties-expire/1/323355.html>
- Randall Newnham, „Oil, carrots, and sticks: Russia’s energy resources as a foreign policy tool“, Journal of Eurasian Studies, February 2011, pp. 134-143
<https://www.journals.elsevier.com/journal-of-eurasian-studies>
- Robert Pape, "Why Sanctions Do Not Work," International Security, vol 22, no 2. 1997, pp. 90-109
- Robert Parsons, „Russia/Georgia: Russia Impounds Georgian Mineral Water“ April 19, 2006, <https://www.rferl.org/a/1067758.html> (ბუნებრივი 10 მარტი, 2017)
- Robert Parsons, „Georgia/Russia: Georgian Agriculture Minister In Moscow For Talks On Wine Ban“ April 13, 2006, <https://www.rferl.org/a/1067641.html> (ბუნებრივი - 11 მარტი 2017)

- Sanjoy Hazarika, “INTERNATIONAL REPORT; Nepal Seeks Less Reliance On Foreign Economic Aid”, The New York Times, May 7, 1990
<http://www.nytimes.com/1990/05/07/business/international-report-nepal-seeks-less-reliance-on-foreign-economic-aid.html>
- Satish Kumar, “China’s Expanding Footprint in Nepal: Threats to India” Journal of Defence Studies, Vol 5. No 2. April 2011 pp. 77-88;
- Sopho Bukia, “Грузия одержала победу над Москвой в Европейском суде”, 7 July, 2014 <https://iwpr.net/global-voices/georgia-wins-against-moscow-european-court>
- South Asians for Human Rights (SAHR), “NEPAL BLOCKADE A HUMANITARIAN CRISIS AMIDST DIPLOMATIC KERFUFFLE - FACT FINDING MISSION REPORT”, Published in Sri Lanka 2016 <http://www.southasianrights.org/wp-content/uploads/2016/06/Report-on-the-Fact-Finding-Mission-to-Nepal.pdf>
- Stephen Groves, “India and Nepal Tackle Border Disputes”, The Diplomat, September 22, 2014 <http://thediplomat.com/2014/09/india-and-nepal-tackle-border-disputes/>
- Steve Smith, Amelia Hadfield, Timothy Dunne, „Foreign policy : theories, actors, cases“, article, Michael Mastanduno, “Economic Statecraft”, Oxford University Press, 2008 pp. 172-185
- Steven Myers, “Russian Officials Pledge More Sanctions to Cut Off Cash to Georgia,” The New York Times, October 4, 2006.
<http://www.nytimes.com/2006/10/04/world/europe/04georgia.html>
- Sunita Basnet, „India-Nepal Bilateral Relations: Impact on Nepal’s Sovereignty“, September 03, 2012 <http://sunitabasnet.blogspot.com/2012/09/india-nepal-bilateral-relations-impact.html>
- Susanne Oxenstierna, „The economic sanctions against Russia“, September 2015, FOI-R-4097—SE, pp. 24-31
https://www.researchgate.net/publication/281619387_The_economic_sanctions_against_Russia

- TABULA, “Top 10 Countries Sending Remittances to Georgia”, April 14, 2017
<http://www.tabula.ge/en/story/119310-top-10-countries-sending-remittances-to-georgia>
(წახახია - 23 მაისი 2017)
- The New York Times, „India Closes Most Roads to Nepal in Trade Dispute“, March 26, 1989 <http://www.nytimes.com/1989/03/26/world/india-closes-most-roads-to-nepal-in-trade-dispute.html>
- The Banglar Manabdhikar Suraksha Mancha (MASUM), “Report on Fact-Finding on Impact of Blockade along Indo-Nepal Border”, December 2015, pp. 9-11
<https://www.forum-asia.org/?p=21243>
- Uttam Sengupta, „Himalayan crisis“ INDIA TODAY, May 15, 1989
<http://indiatoday.intoday.in/story/nepal-faces-mounting-crisis-since-the-lapse-of-trade-and-transit-treaties-with-india/1/323443.html>
- Vladimer Papava, “Russia’s Illiberal “Liberal Empire””, Project Syndicate, Feb 28, 2007
<https://www.project-syndicate.org/commentary/russia-s-illiberal--liberal-empire?barrier=accessreg> (წახახია - 15 მაისი 2017)
- “Georgia Moves Closer to NATO Membership, But Reforms Must Continue“, April 24, 2007 <http://www.nato-pa.int/Default.asp?SHORTCUT=1191> (წახახია - 7 მაისი 2017)
- „A Survey of Russian Federation Foreign Policy“, 27 March 2007
http://www.mid.ru/en/web/guest/foreign_policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/378188 (წახახია 7 მაისი, 2017)
- Коммерсант, „На грузин не пожалели законодательства“, 5 октября, 2006,
<http://www.kommersant.ru/doc/710392> (წახახია - 21 მაისი 2017)
- Коммерсант, „Транспортная блокада Грузии“, 3 октября, 2006,
<http://www.kommersant.ru/doc/709686> (წახახია - 21 მაისი 2017)
- Коммерсант, „Сколько денег шлют из России в СНГ“, 3 октября, 2006,
<http://www.kommersant.ru/doc/709683> (წახახია 22 მაისი 2017)
- ეკა აკობია, “საერთაშორისო ურთიერთობების თეორია”. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი. 2006
http://digitallibrary.tsu.ge/book/!2016/n119/akobia_saertashoriso/index.html#/16

- ზაზა გაჩეჩილაძე, “რა ეკონომიკური ზიანი შეიძლება მიიღოს საქართველომ რუსეთისაგან?”, სექტემბერი 14, 2002, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1523353.html> (ნანახია - 5 მაისი, 2017)
- ზურაბიშვილი, თინათინ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006;
- თამარ წერეთელი, „ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი საქართველოში: პრობლემები და მისი გადაჭრის გზები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ივლისი, 2014 <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000753/Dis.Tsereteli%20-T..pdf>
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის კოლეგია, მთავარი რედაქტორი - როინ მეტრეველი, „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, pp. 126-208; 237-304
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=658&lang=geo
- საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო <http://www.energy.gov.ge/>